

ა დ ე ი ნ ი ს ტ რ ა ს ი უ ლ ი კ რ ო ხ ე ს ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2019, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2019, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2019, №5

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2019, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეზელი

1. მესამე პირები

საქმეში მესამე პირად ჩაბმის საფუძველი 4

საქმეში სავალდებულო მონვევის მესამე პირად ჩაბმა 13

2. გადაწყვეტილების განმარტება

გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი 19; 26; 33; 41

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება,
როგორც გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი 47

3. საქმის წარმოების განახლების წინაპირობები

საქმის წარმოების

განახლების საფუძველი 56; 68; 71; 81; 90; 95; 103; 108

საქმის წარმოების განახლების წინაპირობები 61

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლების თაობაზე განცხადების
განმეორებით განხილვის დაუშვებლობა 115

ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობის
საფუძველით ადმინისტრაციული ორგანოსთვის
განმეორებით მიმართვის შესაძლებლობა 124

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების
შეტანის ვადა და წინაპირობები 140; 151

ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას
ადმინისტრაციული აქტის შეჩერების თაობაზე
განჩინების გაუქმების საფუძველი 162

1. მესამე პირები

საქმეში მესამე პირად ჩაბმის საფუძველი

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-233-233(კს-18) 1 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: საქმეში მესამე პირად ჩაბმა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 03 თებერვალს შპს „...“ სარჩელი აღძრა სასამართლო-ში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის მიმართ, რომლითაც სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხისათვის დავალება, განახორციელოს შპს „...“ საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. ბათუმში, ... ქ. №49/4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (ავტოფარეხი – 402.7 კვ.მ).

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2011 წლის 27 მაისს ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის №576 ბრძანების საფუძველზე შპს „...“ მოიპოვა უფლება აეშენებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში ... ქუჩის №49/4-ში. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა შპს „...“ საკუთრებას. შპს „...“ 2011 წლის 19 აგვისტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა მშენებლობის ნებართვა და პროექტი, რომლის საფუძველზეც თავისი საკუთრების უფლება დაირეგისტრირა მშენებარე ობიექტზე (განცხადება №...). აღნიშნული ობიექტი 2013 წლის 11 დეკემბერს შევიდა ექსპლუატაციაში. მოსარჩელის აღნიშვნით, შპს „...“ 2015 წლის 15 ოქტომბერს №...

სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს და უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე ქალაქ ბათუმში, ... ქუჩის №49/4-ში მდებარე ახლად აშენებული სახლის მიწის ქვედა სართულზე არსებულ 402,7 კვ.მ ავტოსადგომზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა 2015 წლის 21 ოქტომბერს მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... გადაწყვეტილება, რომლითაც განმარტა, რომ წარსადგენი იყო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამონებული ავტოსადგომების განაწილების დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილი იქნებოდა ყველა უფლებამოსილი პირის მიერ და შესაბამისობაში იქნებოდა მოყვანილი №... განცხადებაზე წარდგენილ პროექტის არქიტექტორის განმარტებასთან და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებთან, მითითებული იქნებოდა ყველა მესაკუთრის (მომავალი მესაკუთრის) საიდენტიფიკაციო მონაცემები. 2015 წლის 26 ნოემბერს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურმა მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №... გადაწყვეტილება, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია. შპს „...“ 2015 წლის 11 ნოემბერს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №... გადაწყვეტილება გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, თუმცა 2015 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „...“ მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან ერთად წარმოევა საკუთრება მის არსებით შემადგენელ ნაწილზე – მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლზე, რამდენადაც ქალაქ ბათუმში, ... ქუჩის №49/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მის საკუთრებას. შპს „...“ უძრავი ქონების ნაწილი, კერძოდ, მე-4 სადარბაზო მთლიანად გადასცა შპს „ტ...“. გადაცემის ხელშეკრულება მოიცავდა მე-4 სადარბაზოს ქვემოთ არსებულ ავტოსადგომის ფართს 796.5 კვ.მ ოდენობით. ავტოსადგომების ნაწილი შპს „...“ განკარგა კერძო პირებზე, რ. ნ-ზე - 104,22 კვ.მ და ა. ბ-ზე, ე. ბ-ზე, ვ., ე. ბ-ზე, მ., ე. და ნ., ე. მ-ზე 158,8 კვ.მ (თანსაკუთრება). საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილია აღნიშნული ავტოსადგომების მდებარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. მოსარჩელის მითითებით, შპს „...“ 2011 წლიდან მოყოლებული ახორციელებდა ბინების რეალიზაციას, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ იყო დაფიქსირებული, რომ მესაკუთრეს უფლება ჰქონდა ესარგებლა ავტოსადგომით. ნასყი-

დობის ხელშეკრულება არ ვრცელდებოდა ავტოსადგომზე და არ მოიცავდა მას. 2013 წლის 11 დეკემბერს ექსპლუატაციაში შევიდა შენობა-ნაგებობა, მდებარე ქ. ბათუმი ... ქ. №49/4, რითაც ვარგისიანად იქნა აღიარებული აშენებული ნაგებობა. ქალაქ ბათუმის მერიამ აზომვით ნახაზზე დაუსვა საკუთარი ბეჭედი, რითაც დაადასტურა ბინების ფართობი და მათ შორის არსებული მიჯნების ფაქტობრივი მდგომარეობა. შეჩერებული სარეგისტრაციო წარმოების განახლებისათვის მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის, მათ შორის სამომავლოდ საკუთრების შემძენი პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებითა და ხელმოწერით დამოწმებული თანხმობა, რაც 402,7 კვ.მ ავტოსადგომზე შპს „...“ საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის არ იყო საჭირო და კანონი ამას არ ითვალისწინებდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარემ მიიჩნია, რომ შპს „...“ განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოების დროს სარეგისტრაციო სამსახურმა სამართლებრივად არასწორად გააანალიზა არსებული გარემოებები და უფლების დამდგენი დოკუმენტები არასრულყოფილად შეაფასა, რის გამოც მიღებული გადაწყვეტილებები იყო კანონსაწინააღმდეგო და ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №... გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილება და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს დაევალა გადაწყვეტილებაში მითითებული, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში შპს „...“ მიერ 2015 წლის 15 ოქტომბერს წარდგენილი №... განცხადების თავიდან განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

მოითხოვა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საქმეში ამხანაგობა „ი...“ ჩაბმის შესახებ იმ საფუძვლით, რომ 2111 კვ.მეტრიდან 908 კვ.მ. წარმოადგენდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ი...“ საკუთრებას და იყო ავტომობილების მისასვლელი გზა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტრესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია საქმეში ჩვეულებრივი მოწვევის მესამე პირის ინსტიტუტი, ანუ ამ მუხლის თანახმად, შესაძლებელია პირი ჩაბმულ იქნეს საქმის განხილვაში, თუ შესაძლებელია მომავალში მის სამართლებრივად დაცულ უფლებას და ინტერესს შეეხოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ამ ნორმის თანახმად და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული უფლებამოსილება სასამართლოს მიხედულებაზე და მოკიდებული, ანუ სასამართლოა უფლებამოსილი ან ჩააბას მხარე მესამე პირად მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ან არ ჩააბას, გამონაკლისს წარმოადგენს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს სამართალურთიერთობის მონაწილის მესამე პირად ჩაბმა.

სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ი...“ – მესამე პირად ჩაბმა იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში წარმოდგენილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ი...“-ის 2017 წლის 13 ივნისის ნევრთა საერთო კრების №5 ოქმი, რომლითაც ამხანაგობა თანახმაა დარეგისტრირდეს სადავო უძრავი ქონება – ავტოფარეხის ტერიტორია მოსარჩელის საკუთრებად. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ დავის საგნიდან გამომდინარე არ არსებობდა ამხანაგობა „ი...“ საქმეში მესამე პირად ჩაბმის საფუძვლები.

მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპე-

ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე მესამე პირად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ი...“ ჩაბმა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად და უკანონოდ უთხრა უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №3-54/16 წ.) შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: 1) ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება; 2) ბათილად იქნა ცნობილი სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №... გადაწყვეტილება; 3) ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; 4) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს დაევალა უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში შპს „...“ მიერ 2015 წლის 15 ოქტომბერს წარდგენილი №... განაცხადის თავიდან განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. №... სარეგისტრაციო განაცხადით მოთხოვნილია უძრავი ნივთის დაყოფის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. ბათუმში, ... ქ. №49/4-ში მდებარე უძრავ ნივთზე (ავტოფარეხი – 402.7 კვ.მ). უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დაცულია თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 11 დეკემბრის №02/2715 ბრძანება, მშენებლობა-დამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, სადაც მითითებულია, რომ შპს „...“ სახელზე ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ბათუმში, ... ქ. №49/4-ში მდებარე 2593 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: ...) მშენებლობის ნებართვის საფუძველზე აშენებული მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტი, საერთო ფართობით – 11 800,4 კვ.მ, ამასთან, №... სარეგისტრაციო განაცხადზე წარდგენილია შესაბამისი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აზომვითი ნახაზი, რომელიც ითვალისწინებს ავტოფარეხს, საერთო ფართობით – 2111 კვ.მ, საჯარო რეესტრის ეროვნული

ნულ სააგენტოში აგრეთვე დაცულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული ნაწილის დოკუმენტაცია (საპროექტო დოკუმენტაცია). აღნიშნული დოკუმენტაცია შეთანხმებულია ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურთან (№179). აღნიშნულ დოკუმენტაციაში დაცულია ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 28 თებერვლის №194 ბრძანება, რომელშიც მითითებულია მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. მთავარი არქიტექტორის ა. ტ-ის განმარტებითი ბარათის თანახმად, საპროექტო შენობა წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, რომლის პირველ სართულზე განლაგებულია კომერციული ფართები, ხოლო მინისქვეშა სართულზე – ავტოფარეხი 70 ავტომანქანაზე, ბინების რაოდენობაც არის 70.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დაცული მონაცემების შესაბამისად, შპს „...“ და შპს „ტ...“ პარტნიორთა გაერთიანებული კრების №1 ოქმით დგინდება, რომ ავტოფარეხის საერთო ფართობი შეადგენს 2111 კვ.მ-ს. ამავე დოკუმენტში მითითებული განაწილების მიხედვით, 2111 კვ.მ-დან 2052,63 კვ.მ უნდა დარეგისტრირდეს ფიზიკურ/იურიდიულ პირთა საკუთრებად, შემდეგი მონაცემებით: რ. შ-ე – 104,22 კვ.მ, ა. ბ-ი, ე. ბ-ი, ვ. ე. ბ-ი, მ. ე. ბ-ი, ნ. ე. მ-ები – 158,80 კვ.მ შპს „...“ – 127,1 კვ.მ, შპს „...“ – 39,14 კვ.მ, შპს „...“ – 199,42 კვ.მ, შპს „...“ – 402,7 კვ.მ შპს „...“ – 224,75 კვ.მ, შპ „ტ...“ – 796,5 კვ.მ, თუმცა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში №... სარეგისტრაციო განაცხადზე დაცულია არქიტექტორ ა. ტ-ის განმარტებითი ბარათი, სადაც მითითებულია, რომ „ქ. ბათუმში ... ქ. №49/4-ში (საკადასტრო კოდი: ...) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხი განლაგებულია – 2,7 ნიშნულზე. მას გააჩნია ერთი შესასვლელი და მისი საერთო ფართი შეადგენს 2111 კვ.მ-ს, საიდანაც 1203 კვ.მ გამოიყენება ავტომობილების სადგომისათვის, ხოლო 908 კვ.მ წარმოადგენს ავტომობილების მისასვლელ გზას“.

დღეის მდგომარეობით, შპს „...“ და შპს „ტ...“ პარტნიორთა გაერთიანებული კრების №1 ოქმში მითითებული რეგისტრირებული ავტოსადგომების ფართი კი შეადგენს 1425,33 კვმ-ს. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში დაცული მონაცემებით, იმ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი ...), რომელზეც მდებარეობს სადავო ავტოსადგომი რეგისტრირებულია ბ.მ. ამხანაგობა „ი...“ საკუთრების უფლება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის 23-ე პუნქტის თანახმად, საერთო სა-

კუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ფართობის დაყოფა ან სხვაგვარად განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ უძრავი ნივთის ყველა მესაკუთრის/მართლზომიერი მოსარგებლის/მფლობელის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, რეგისტრაციის მიზნებისთვის, მესაკუთრედ/მართლზომიერ მოსარგებლედ/მფლობელად მიიჩნევიან მხოლოდ ტექნიკური აღრიცხვის არქივსა და საჯარო რეესტრში აღრიცხული/რეგისტრირებული პირები. სხვა მესაკუთრეთა/მართლზომიერ მოსარგებლეთა/მფლობელთა არსებობის შესახებ გარემოებათა გამოკვლევაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ უძრავი ნივთის განკარგვაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. აღნიშნული წესი ვრცელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაყოფასა და სანივთო უფლებებით დატვირთვაზეც.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთი, სახლის ნაწილი და ის შენობა-ნაგებობები, დანადგარები, საინჟინრო ქსელები, მოწყობილობები, რომლებიც არ არის ინდივიდუალური საკუთრება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას (საერთო საკუთრებას) წარმოადგენს. ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტოსადგომის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ავტომობილების მისასვლელ გზად, წარმოადგენს სახლის ნაწილს და მიეკუთვნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და ვერ იქნება ინდივიდუალური საკუთრება. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ისეთი განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას და გავლენას ახდენს სხვა ბინის მესაკუთრეთა მიერ საერთო ქონების გამოყენებაზე, ხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა კრებაზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთის ან/და სხვა უძრავი ნივთის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა და მესამე პირთა სასარგებლოდ სარგებლობის უფლებით დატვირთვა ან გასხვისება შესაძლებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილება გავლენას მო-

ახდენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ი...“ წევრების კანონიერ ინტერესზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მარტის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული საოქმო განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში წარმოდგენილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ი...“ 2017 წლის 13 ივნისის წევრთა საერთო კრების №5 ოქმის არსებობის პირობებში, რომლიდანაც დასტურდება, რომ ამხანაგობა თანახმაა დარეგისტრირდეს სადავო უძრავი ქონება – ავტოფარეხის ტერიტორია მოსარჩელის საკუთრებად, არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ამხანაგობა „ი...“ საქმეში მესამე პირად ჩაბმის საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ პროცესში სავალდებულო მონვევის მესამე პირთა საქმეში ჩართვის უმთავრესი მიზანია იმ პირთა ინტერესების დაცვა, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლოა გარკვეული შეზღუდვები დაუწესდეთ. მესამე პირების ინსტიტუტი უფლებას აძლევს მათ მოახდინონ საკუთარი კერძო, სუბიექტური ინტერესების დაცვა და რეალიზება ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 21 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება, რომლითაც შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება და შპს „...“ დაევალა მესაკუთრეთა თანხმობების წარდგენა, ქ. ბათუმში, ... ქ. №49/4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (ავტოფარეხი – 402.7 კვ.მ) შპს „...“ საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. მსგავსი შინაარსის დოკუმენტი კი წარმოდგენილია საქმეზე (ამხანაგობა „ი...“ 2017 წლის 13 ივნისის ნევრთა საერთო კრების №5 ოქმი), რაც ადასტურებს ამხანაგობის ნევრთა ნებას და ინფორმირებულობას 402.7 კვ.მ ავტოფარეხის „...“ სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამორიცხავს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემოქმედებას უშუალოდ ამხანაგობის ნევრების კანონიერ ინტერესებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივრები უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან არ არსებობს გასაჩივრებული საოქმო განჩინებების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმეში სავალდებულო მონაწივის მისამე პირად ჩაბმა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-653-653(კს-18)

17 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მესამე პირად ჩაბმა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-ემ 2013 წლის 23 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხეთა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და მოპასუხეებისათვის ქმედების განხორციელების დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 28 მაისის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მესამე პირად ჩაება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური და ჯ. გ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის 2013 წლის 29 ნოემბრის განკარგულება №2704 „ჯ. გ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე“; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დავალა საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის, გამოკვლევისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ჯ. გ-ის მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ

საჩივართან მიმართებაში, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში; დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში მ. ა-ის საჩივლი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-რიამ, ჯ. გ-მა და მ. ა-ემ.

2017 წლის 12 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა ვ. ა-ემ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ითხოვა საქმეში მესამე პირად ჩაბმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით ვ. ა-ის შუამდგომლობა ადმინისტრაციულ საქმეში №3ბ/1269-16, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირის სტატუსით ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ა-ემ. კერძო საჩივრის ავტორი მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებს: საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლზე – ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებაზე; „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციაზე, რომლის თანახმად გარანტირებულია სიცოცხლისა და საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ დასთან – მ. ა-ესთან ერთად ცხოვრობდა წლების მანძილზე არაჯანსაღ გარემოში და მის მობინადრეობას არ უარყოფს სააპელაციო სასამართლო. მოსარჩელე – მ. ა-ე გახდა მესაკუთრე დედის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდროს მიღების შედეგად. აღნიშნულ ბინაში დედასთან ერთად ცხოვრობდა ვ. ა-ეც. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ მემკვიდრეობით საკუთრების უფლება წარმოიშობა და დგინდება არა რეგისტრაციით, არამედ სამკვიდროს გახსნით.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, უნდა გამოეთხოვა სამკვიდრო მონაწილეობა, გაერკვია ვ. ა-ის უფლება სადავო საკითხთან მიმართებაში და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16

მუხლის პირველი ნაწილით უნდა ჩაება ვ. ა-ე სამართალწარმოება-ში მესამე პირად, რადგან მე-16 მუხლის პირველი ნაწილით არ არის საჭირო კანონიერი ინტერესის არსებობა და აღნიშნული ნორმა მხოლოდ ინტერესზე მიუთითებს. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში გარდა მ. ა-ისა ასევე მითითებულია სხვა თანამესაკუთრე, რაც ნიშნავს, რომ ტექ.პიუროში რეგისტრირებულია კიდევ ვილაც. სწორედ აღნიშნული არ გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ. ვ. ა-ე აღნიშნავს, რომ სამკვიდრო მანაც მიიღო, თუმცა მ. ა-ეზე უძრავი ქონების რეესტრში რეგისტრაციის დროს მან ვერ შეძლო მისვლა, რის გამოც არ ჩანს მისი საკუთრების უფლება რეესტრის ამონაწერში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ა-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პროცენტორ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ზოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს გააჩნია, როგორც უფლებამოსილება, ასევე აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაკვების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნის მიღწევას ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირის ინსტიტუტი ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მესამე პირებს დაიცვან თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესები და რეალიზება განახორციელონ ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განასხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევის მარტივი ფორმა შინაარსობრივად განსხვავდება აუცილებელი, სავალ-

დებულო ფორმისაგან. განსხვავება იმაშია, რომ მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა კი ვალდებულება კონკრეტული გარემოების არსებობისას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმული მესამე პირები უფრო შეზღუდული უფლებებით სარგებლობენ, ვიდრე სავალდებულო ფორმით ჩაბმული მესამე პირები.

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზეა, თუ მესამე პირი იმ სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადანყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადანყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესები, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადანყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადანყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადანყვეტის შედეგად მიღებული გადანყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე. აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის მოტივებს, რამდენადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში პირის პროცესუალური უფლებების უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების

არსებობის ფაქტთან. პირს მესამე პირის პროცესუალური ინსტიტუტი აძლევს შესაძლებლობას, საპროცესო უფლებების გამოყენების გზით უზრუნველყოს მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით საქმეში სავალდებულო მესამე პირად ჩაბმის ინსტიტუტის მიზანს სწორედ ასეთი პირის, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილის მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც შესაბამისი საპროცესო უფლებების რეალიზაციის მეშვეობით უნდა განხორციელდეს.

მოცემულ საქმეში მ. ა-ის მიერ აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის) და 24-ე (ქმედების განხორციელების თაობაზე) მუხლებით გათვალისწინებული სარჩელი, რომლის საფუძველზე სასამართლოს განხილვის საგანია ქ. თბილისში, ...-ში განხორციელებული მშენებლობის ლეგალიზაციის კანონიერების შემოწმება, ავარიული კორპუსის აღდგენის მიზნით ადმინისტრაციული ორგანოსათვის გარკვეული ქმედებების განხორციელების დაუვალეა და რიგი საჯარო მოხელეების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქ. თბილისში, ... №...-ში №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე, ფართი: 40.00 კვ.მ.; საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება; მესაკუთრე: მ. ა-ე და სხვა თანამესაკუთრე; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილე, №1-1, გაფორმების თარიღი: 04/01/2001, ნოტარიუსი მ. ბ-ე. ამდენად, სარჩელზე დართული 2012 წლის 27 თებერვლის საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დგინდება, რომ მ. ა-ეს ჰყავს თანამესაკუთრე, რომლის, როგორც დაინტერესებული პირის უფლება შესაძლოა არ დგინდებოდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან და დადგინდეს ამავე მუხლით გათვალისწინებული სამკვიდრო მონაწილით. მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმეზე სადავო არ არის, რომ მ. და ვ. ა-ეები არიან და-ძმა და ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მ. ა-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილე.

ამდენად, ცალსახად არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ვ. ა-ეს მოცემულ დავაზე არ გააჩნია კანონიერი ინტერესი, რაც ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინე-

ბულ სასამართლოს ვალდებულებას გამოიკვლიოს და ცალსახად დაადგინოს ვ. ა-ის ან საჯარო რეესტრის ამონაწერით გათვალისწინებული სხვა თანამესაკუთრის ინტერესის არსებობა მ. ა-ის მიერ აღძრული სარჩელით გათვალისწინებულ სამართალურთიერთობასთან მიმართებაში, რათა სამომავლოდ გამოირიცხოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სახეზეა ვ. ა-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-16 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ვ. ა-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს საქმეში მესამე პირად ჩართვის თაობაზე ვ. ა-ის შუამდგომლობის განხილვის ეტაპიდან;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. გადაწყვეტილების განმარტება

გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ბს-38-37(კს-17)

20 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატამ

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 21 სექტემბერს ე. ს-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და კ. ბ-ის მიმართ.

მოსარჩელემ კ. ბ-ის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, მარეგისტრირებელ ორგანოში – მიწის რეგისტრაციის სამსახურში 2000 წლის 22 აპრილს განხორციელებული რეგისტრირებული უფლებიდან, სარეგისტრაციო ნომრით ..., 2004 წლის 1 ოქტომბერს გაცემული სამკვიდრო მონუმობის ჩათვლით და მათ საფუძველზე 2004 წლის 12 ოქტომბერს საჯარო რეესტრში განხორციელებულ რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილებების რეგისტრაციიდან, ს/კ ... მოსარჩელე ე. ს-ის კუთვნილი ნაკვეთის ფართის იმ ოდენობით ამორიცხვა, რაც დადგენილია მოპასუხე მარეგისტრირებელი ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 7 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით, ანუ ზედდების ნაწილში და ამ რეგისტრირებულ მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და მოპასუხისთვის მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად ამ უკანასკნელის საკუთრებაში მიწის ნაკვეთის ფართის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დავალდებულება მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ე. ს-ის სარჩელი მოპასუხე კ. ბ-ისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარე-

გისტრაციო სამსახურის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ს-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების შესახებ ჩანაწერი 33 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში (ს/კ ... ნაკვეთის წინა ნომერი: ...); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად კ. ბ-ის სახელზე სარეგისტრაციო მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება დაევალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მაისის განჩინებით კ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2014 წლის 3 იანვარს კ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების — საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის და ე. ს-ის მიმართ.

მოსარჩელემ რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 3 დეკემბრის №... გადაწყვეტილების და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შესრულებული ჩანაწერის ბათილად ცნობა მოითხოვა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით კ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 20 აპრილის განჩინებით კ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება; ადმინისტრაციული საქმის წარმოება კ. ბ-ის სარჩელის გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის და ე. ს-ის მიმართ რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 3 დეკემბრის №... გადაწყვეტილების და აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შესრულებული ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე შეწყდა, დავის საგნის არარსებობის გამო.

2016 წლის 1 ნოემბერს კ. ბ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინებით კ. ბ-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2016 წლის 10 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ქუთაი-

სის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.

სის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის 2016 წლის 30 ნოემბრის №315601 წერილის მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 თებერვლის №29163 გადაწყვეტილების საფუძველზე ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურმა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში განახორციელა ცვლილება, კერძოდ კ. ბ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული 585 კვ.მ უძრავი ქონებიდან ბათილად ცნო რეგისტრაცია 33 კვ.მ-ზე და რეგისტრაციაში იმ დროის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ... კ. ბ-ის საკუთრებად №... განაცხადით უკვე რეგისტრირებული იყო 552 კვ.მ (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით –

სასამართლოს მითითებით, გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური აუცილებლობა არსებობს მაშინ, როცა გადაწყვეტილების შინაარსი ბუნდოვანია, რითაც ფერხდება მისი აღსრულება.

სააპელაციო სასამართლომ სარეგისტრაციო სამსახურის წერილზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ მოცემულ შემხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება აღსრულებულია.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილების აღსრულებლობის შემთხვევაშიც, სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების საჭიროება არ იარსებებდა, რადგან მისი სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა კ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელებულია და მისი შინაარსი კ. ბ-ის საკუთრებაში 33 კვ.მ გაუქმების ნაწილში ბუნდოვანია. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მხარეთა შორის დავა არ დამთავრებულა და მოხდა ახალი ექსპერტიზის დანიშვნა, რომელმაც დაადასტურა, რომ მოდავე მხარეებს შორის გაყოფილი მიწის ნაკვეთი არ იყო იმ რაოდენობის,

რაც გამყოფ ნახაზზე არის მითითებული. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, 840 კვ.მ-ის ნაცვლად არის 757,5 კვ.მ, საიდანაც ს-ის ნაკვეთის ფართი რეალურად შეადგენს 326,8 კვ.მ-ს, ხოლო ბ-ის – 430,7 კვ.მ. კერძო საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია, სასამართლომ რა მიზნით გააუქმა 33 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრება. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოსთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ცნობა, რომლის მიხედვითაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 თებერვლის №... გადაწყვეტილებით მოხდა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულება, არ არის სრულყოფილი, ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 თებერვლის №... გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ორივე მხარის მიერ სასამართლოში და ამჟამად დავას განიხილავს სააპელაციო სასამართლო. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული კ. ბ-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ე. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სა-

დავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი კ. ბ-ის სახელზე საკუთრების უფლების შესახებ ჩანაწერი 33 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაწილში (ს/კ ... ნაკვეთის წინა ნომერი: ...); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ კ. ბ-ის სახელზე სარეგისტრაციო მოქმედების განხორციელებასთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღება დაევალა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 21 მაისის განჩინებით კ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2016 წლის 1 ნოემბერს კ. ბ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინებით კ. ბ-ის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა კ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262.1 მუხლზე, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მხარეებს ეგზავნება შეტყობინება, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების განმარტების უმთავრესი მიზანი არის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისა და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეალიზაციის ხელშეწყობა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2016 წლის 10 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული ოფისის 2016 წლის 30 ნოემბრის №315601 წერილით გაირკვა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 10 თებერვლის №... გადაწყვეტილების საფუძველზე ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურმა უძრავი ნივთებზე უფლებათა რეესტრში განახორციელა ცვლილება, კერძოდ კ. ბ-ის საკუთრებაში რეგისტრირებული 585 კვ.მ უძრავი ქონებიდან ბათილად ცნო რეგისტრაცია 33 კვ.მ-ზე და რეგისტრაციაში იმ დროის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ... კ. ბ-ის საკუთრებად №... განაცხადით უკვე რეგისტრირებული იყო 552 კვ.მ (დაუზუსტებელი) მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით –

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საჭიროებდა განმარტებას კ. ბ-ის საკუთრებაში არსებულ 33 კვ.მ მიწის ნაკვეთის გაუქმებასთან დაკავშირებით, რამდენადაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 30 ნოემბრის №315601 წერილის მიხედვით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება უკვე აღსრულებული იყო.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების განმარტებაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინება კანონშესაბამისია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვეტილების განმარტების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1149-1143

(კს-17) 30 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: გადანყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 7 თებერვლის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. გ-ე აღდგენილ იქნა თბილისის მთანმინდის რაიონის ... სამსახურში წინანდელ ან ტოლფას თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით, ნ. გ-ისა და ძველი თბილისის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოცემულ საქმეზე თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობ-

რივ. ძველი თბილისის რაიონის გამგეობას ნ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მთანმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან – 2000 წლის 7 თებერვლიდან, ამ გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე – 2001 წლის 25 მაისამდე, დაყოვნების მთელი დროის ხელფასის ანაზღაურება. დანარჩენ ნაწილში ნ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 01 მაისის განჩინებით აპელანტის თბილისის მთანმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა ძველი თბილისის რაიონის გამგეობა. ამავე პალატის 2008 წლის 05 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო. 2010 წლის 23 თებერვალს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებით, ნ. გ-ის განცხადება უფლებამონაცვლეობის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის (საქმის ნომერი 3ბ/172-06) გადაწყვეტილებაში მოხსენიებული ძველი თბილისის რაიონის გამგეობის უფლებამონაცვლედ დადგინდა ქალაქ თბილისის მთანმინდის რაიონის გამგეობა.

2016 წლის 10 ნოემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რომელმაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის, კრედიტორის – ნ. გ-ის განცხადებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის №3ბ/172-06 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის განმარტება მოითხოვა.

განმცხადებლის მოსაზრებით, ბუნდოვანია 2000 წლის 07 თებერვლიდან, გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე – 2001 წლის 25 მაისამდე, რა თანხობრივი სარგოს გათვალისწინებით უნდა მოხდეს დაყოვნების მთელი დროის ხელფასის ანაზღაურება კრედიტორის – ნ. გ-ის სასარგებლოდ. „სააღსრულებო წარმოებათა შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შე-საბამისად, ძველი თბილისის რაიონის გამგეობას რამდენიმეჯერ გაეგზავნა შეტყობინება ნ. გ-ის იძულებითი თანხის დაანგარიშე-ბის შესახებ, რომლის პასუხადაც, ძველი თბილისის რაიონის გამ-გეობის (მთანმინდის რაიონის გამგეობა) მიერ გამოგზავნილ იქნა წერილები, საიდანაც ირკვეოდა, რომ იძულებითი განაცდური ხელ-ფასის ოდენობასთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციას არ ფლობ-დნენ და მოკლებულნი არიან შესაძლებლობას აღასრულონ თბი-ლისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-ლატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინება, უფლებამოსილი ორგანოს მიერ ზემოაღნიშნული განაცდურის ოდენობის დადგენის გარეშე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 262-ე მუხლზე და განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა გადაწყვეტილების განმარტების პროცე-სუალური წინაპირობა, რადგან მითითებული ნორმა სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას განმარტოს კანონიერ ძალაში შესუ-ლი გადაწყვეტილება მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სა-რეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით სსსიპ აღსრულე-ბის ეროვნული ბიუროს განცხადება თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თე-ბერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილ-და, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-ულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი განიმარტა იმდაგვარად, რომ საბოლოოდ ქალაქ თბილისის მთანმინდის რაიონის გამგეობას (მო-პასუხის უფლებამონაცვლე) ნ. გ-ის სასარგებლოდ დაკისრებული აქვს 2000 წლის 7 თებერვლიდან, 2001 წლის 25 მაისამდე ნ. გ-ისათ-ვის დარიცხული ხელფასის 795.60 ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივ-რით გაასაჩივრა ნ. გ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გა-უქმება და ახალი განჩინებით მისაღები ხელფასის მინიმალური ოდენობის 2250 ლარით განსაზღვრა მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მისი მისაღები ხელფასის 2250 ლარის ოდენობით განსაზღვრა, სა-აპელაციო სასამართლოს უნდა დაევალოს საქართველოს ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4-მე-19 მუხლების შესაბამისად, მტკიცებულებათა მოძიება და ახალი განჩინების მიღება, რომლის თანახმადაც, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენს შეადგენდა 2000-2001 წლებში ... დირექტორების, იგივე უფროსების ხელფასი, ან დაადგინოს რამდენს შეადგენდა ნ. გ-ის სამუშაო ადგილზე მომუშავე პირის ხელფასის ოდენობა. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სადავო პერიოდში ... დირექტორების ხელფასი იყო მინიმუმ 150 ლარი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს გამოტანილი წინმსწრები განჩინებების კანონიერების გადასინჯვას ახდენს ზემდგომი სასამართლო და შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება, როგორც წინმსწრები განჩინება ისე უნდა იქნეს განხილული და შეფასებული, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ნ. გ-ე განჩინებას ასაჩივრებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლების საფუძველზე.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება უპირობოდ ექვემდებარება გაუქმებას, რადგან არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი – გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სასარჩელო მოთხოვნები, რითაც უგულბელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები. განჩინებაში არ არის მითითებული კონკრეტული მტკიცებულება, რის მიხედვითაც, სასამართლომ დაადგინა 2000-2001 წლებში ... დირექტორის ხელფასის ოდენობა, მხოლოდ ასეთი სახის მტკიცებულებაზე დაყრდნობით შეიძლებოდა სააპელაციო სასამართლოს დაედგინა გასაცემელი ხელფასის ოდენობა, რაც მის მიერ არ განხორციელებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ნ. გ-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-

ველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი იყო ბუნდოვანი და იგი საჭიროებდა დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გაკეთდა შესაბამისი განმარტება. დადგენილია, რომ 2000 წლის აგვისტოდან კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს აღმასრულებელმა დაინყო აღნიშნული გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულებისათვის ღონისძიებების გატარება, რის შედეგად ნ. გ-ეს 2001 წლის მაისში აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ერთი წლის ხელფასი 612 ლარის ოდენობით. დადგენილია, რომ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შპს „...“ მიერ 2001 წლის 25 მაისს, გამოიცა ბრძანება და ნ. გ-ე დაინიშნა სერვისული ცენტრი „...“ დირექტორად, 2001 წლის 25 მაისიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით, 6 თვის ვადით, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით, თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 60 ლარის ოდენობით. დადგენილია, ასევე, რომ შპს „...“ 2001 წლის 25 მაისის ბრძანება მიჩნეულ იქნა კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულებად და სწორედ 2000 წლის 7 თებერვლიდან, ამ გადაწყვეტილების აღსრულების დღემდე – 2001 წლის 25 მაისამდე, სააპელაციო სასამართლომ დაავალა მოპასუხე მხარეს დაყოვნების მთელი დროის ხელფასის ანაზღაურება. შესაბამისად, ნ. გ-ის ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა 2001 წლის 25 მაისამდე არსებული მდგომარეობის შესაბამისად. კერძოდ, 2000 წლის 7 თებერვლის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ნ. გ-ეს აუნაზღაურდა ერთი წლის ხელფასი – 612 ლარის ოდენობით. ამგვარად, ირკვევა, რომ ყოველთვიური მისი დარიცხული ხელფასი შეადგენდა 51 ლარს. აღნიშნული დასტურდება 2000 წლის 30 ოქ-

ტომბრის №4-02 საინკასო დავალებით. ვინაიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქ თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობას, ნ. გ-ის სასარგებლოდ დაკისრებული აქვს 2000 წლის 7 თებერვლიდან, 2001 წლის 25 მაისამდე დარიცხული ხელფასის ანაზღაურება, რაც სულ შეადგენს 795.60 ლარს. (15 თვე და 18 დღე X 51=795.60 ლარს).

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო საკითხის მიმართ და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეებსა და აღმასრულებელს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, განუმარტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანი დებულებები, რაც მიმართული უნდა იყოს გადაწყვეტილების აღსრულების გამარტივებისა და უნდა ემსახურებოდეს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გათვალისწინებული დავის სამართლებრივი შედეგის ზუსტად და ზედმიწევნით შესრულებას, თუმცა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება არ უნდა ცვლიდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსს. ამდენად, გადაწყვეტილების განმარტების საჭიროება არსებობს, როცა მისი სარეზოლუციო ნაწილის ესა თუ ის დებულება ორაზროვანი, გაუგებარია და არსებული სახით გადაწყვეტილების სწორად აღსრულებას დაბრკოლება ექმნება. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის მიერ კერძო საჩივარში დასმული საკითხი – გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, მტკიცებულებათა მოძიებისა და გამოკვლევის თაობაზე, სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს და

წარმოდგენილი კერძო საჩივარი გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე თავისი არსით გადაწყვეტილების რევიზიას გულისხმობს, აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას და ითხოვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, საქმეზე ახალი მტკიცებულებების მოძიებას და საქმის არსებითად განხილვას.

კერძო საჩივრის ავტორი სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმების მოთხოვნას ასაბუთებს ასანაზღაურებელი ხელფასის ოდენობის სიმცირით, რასაც საკასაციო პალატა, უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს. ასევე საყურადღებოა, რომ მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრება – ყოველთვიური ხელფასის 150 ლარის ოდენობით განსაზღვრის თაობაზე, არ არის გამყარებული რაიმე კონკრეტული მტკიცებულებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო სწარმო-სათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის კერძო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინების გაუქმების წინაპირობების არსებობის თაობაზე, სააპელაციო პალატის მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების სათანადო შეფასებით განიმარტა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი, შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 დეკემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელში

№ბს-509-506(2კ-17)

2 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ა. ჩ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის, მითითებული განჩინების განმარტებისა და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 4 მარტს ა. ჩ-ემ და მ. ჩ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შედეგად საბოლოოდ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №... და 2015 წლის 21 იანვრის №... წერილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №... და 2015 წლის 30 იანვრის №... წერილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მათ სასარგებლოდ მორალური ზიანის – 1000 ლარისა და მატერიალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №... წერილი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მოსარჩელების მიმართ 2014 წლის დეკემბერში შევსებული დეკლარაციის საფუძველზე სარეიტინგო ქულის გამოთვლის კანონიერების თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ხოლო სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ჩ-ემ და მ. ჩ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჩ-ის და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №... წერილი, 2015 წლის 21 იანვრის №... წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №... წერილი და 2015 წლის 30 იანვრის №... წერილი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მ. ჩ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი მორალური ზიანისა და მატერიალური ზიანის ანაზ-

დაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კასატორი მიუთითებდა, რომ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. ჩ-ემ და მ. ჩ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება.

2018 წლის 2 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ა. ჩ-ემ, რომელმაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა, მითითებული განჩინების განმარტება და ასევე სარჩელის უზრუნველყოფა მოითხოვა.

განმცხადებლის მითითებით, საკასაციო სასამართლომ თეორიულად დააკმაყოფილა მათი ყველა მოთხოვნა, მაგრამ პრაქტიკუ-

ლად არ დასვა წერტილი, კერძოდ, განმცხადებელი არ იზიარებს საკასაციო სასამართლოს განჩინებას იმ ნაწილში, სადაც მითითებულია, რომ სასამართლო ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელობს ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია და შეფასება არ მიუცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე სადავო სარეიტინგო ქულის შეჩერების მოთხოვნაზე. განმცხადებლის მითითებით, მათი მოთხოვნა იყო ქულების (სტატუსის) აღდგენა და ზიანის ანაზღაურება. სამივე ინსტანციის სასამართლომ ბათილად ცნო სადავო აქტები და ისევ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაუბრუნა მათი მოთხოვნა.

ამასთან, განმცხადებელი სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, მოპასუხისთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მათი ოჯახისთვის 2014 წლის 4 დეკემბრიდან შეჩერებული და 2015 წლის 3 იანვრიდან შეწყვეტილი სტატუსის აღდგენისა და ასევე ფულადი დახმარების დანაკლისისა და კომუნალური დახმარების ანაზღაურების დავალებას ითხოვს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის, მითითებული განჩინების განმარტებისა და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მითითებით, განმცხადებელი ა. ჩ-ე წარმოდგენილი განცხადებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანასა და მითითებული განჩინების განმარტებას ითხოვდა და აღნიშნავს, რომ მათი მოთხოვნა იყო ქულების (სტატუსის) აღდგენა და ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-

განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №... და 2015 წლის 21 იანვრის №... წერილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №... და 2015 წლის 30 იანვრის №... წერილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის – 1000 ლარისა და მატერიალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №... წერილი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მოსარჩელების მიმართ 2014 წლის დეკემბერში შევსებული დეკლარაციის საფუძველზე სარეიტინგო ქულის გამოთვლის კანონიერების თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ხოლო სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჩ-ის და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №... წერილი, 2015 წლის 21 იანვრის №... წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №... წერილი და 2015 წლის 30 იანვრის №... წერილი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მ. ჩ-ის 2014 წლის

18 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი მორალური ზიანისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინების მიხედვით, სადავო აქტების კანონიერების შეფასებისას საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმ მოცემულობით, სადაც აღნიშნული იყო, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო არ იყო უფლებამოსილი უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და რომ მას კანონისმიერი ვალდებულება ჰქონდა განეხილა მ. ჩ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი, თუმცა არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება სარეიტინგო ქულების შეჩერების თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში უნდა ემსჯელა, როგორც თავად გაზრდილი სარეიტინგო ქულის მინიჭების კანონიერებაზე, ასევე შეფასება უნდა მიეცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობაზე, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო, მითითებულ მუხლში დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, წყვეტს აქტის მოქმედების შეჩერების საკითხს, რაც შეიძლება ცალკე დავის საგანიც გახდეს მითითებული მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო ამ ეტაპზე მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე (რაც მოსარჩელეთა მტკიცებით გამოწვეული იყო სწორედ გაზრდილი სარეიტინგო ქულის შეუჩერებლობით), ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია და შეფასება არ მიუცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე სადავო სარეიტინგო ქულის შეჩერების მოთხოვნაზე.

ხოლო სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით იმსჯელა და შეფასება მისცა კასატორთა ყველა მოთხოვნას, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი სასამართლოს ამგვარ უფლებამოსილებას ანიჭებს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები. საკასაციო სასამართლომ 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ცალსახად და არაორაზროვნად განმარტა თითოეული მოთხოვნის საფუძველიანობა და მოპასუხეს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელსაც საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა დაევალა, კონკრეტულად მიუთითა, რომ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, სარეიტინგო ქულის მინიჭების კანონიერებაზე მსჯელობასთან ერთად, საკასაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე უნდა ემსჯელა სარეიტინგო ქულის შეჩერების საკითხთან დაკავშირებით. რის გამოც უსაფუძველოა განმცხადებლის მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინების განმარტების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი განცხა-

დება რეალურად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინების კრიტიკას წარმოადგენს და არ ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 262-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

ამასთან, განმცხადებელი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხისთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მათი ოჯახისთვის 2014 წლის 4 დეკემბრიდან შეჩერებული და 2015 წლის 3 იანვრიდან შეწყვეტილი სტატუსის აღდგენისა და ასევე ფულადი დახმარების დანაკლისისა და კომუნალური დახმარების ანაზღაურების დავალებას ითხოვს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმცხადებელს მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება. შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს განჩინებით დასრულდა მოცემული სამართალწარმოება, რაც გამორიცხავს სასამართლოს შესაძლებლობას მსჯელობა იქონიოს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის, მითითებული განჩინების განმარტებისა და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 262-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ჩ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის, მითითებუ-

ლი განჩინების განმარტებისა და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბ-350-2(გან-18)

17 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. წ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. წ-მა 2016 წლის 8 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ზ. ს. ძე წ-ის (დაბ. ...წ.) ოჯახის წევრისათვის – მეუღლისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომ-

პენსაციის დანიშვნის მიზნით, ზ. ს. ძე ნ-ის (დაბ. ...ნ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის **50-ე მუხლის 1^ე პუნქტი**) დაღუპვის ფაქტის დადასტურების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ზ. ს. ძე ნ-ის (დაბ. ...ნ.) ოჯახის წევრისათვის – მეუღლისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, ზ. ს. ძე ნ-ის (დაბ. ...ნ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის **50-ე მუხლის 1^{ლი} პუნქტი**) დაღუპვის ფაქტის დადასტურების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქარ-

თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მ. წ-ის 2015 წლის 10 ნოემბრის განცხადებაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 20 მარტს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა მ. წ-მა, რომელმაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

განცხადების ავტორი მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა წ-ის სარჩელი, თუმცა რა ნაწილში დატოვა უცვლელად გაურკვეველია, ვინაიდან მ. წ-ს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და ამავე კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი ჰქონდა ყოველთვიური 1000-ლარიანი კომპენსაციის მიღება. განმცხადებლის მოსაზრებით ზემოაღნიშნულ ნორმათა ერთობლიობა საფუძველს იძლევა 1991 წლის 9 აპრილის შემდეგ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა მიიღონ ყოველთვიური 1000-ლარიანი კომპენსაცია, მიუხედავად იმისა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტი ითვალისწინებს ერთჯერად ფულად კომპენსაციას, თუმცა აღნიშნულის გაცემა არ ხდება 1991 წლის შემდეგ გარდაცვლილ პოლიციელთა ოჯახის წევრებზე. ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა მინისტრის ბრძანების საფუძველზე ხდება პირის გარდაცვალებისას დაუყოვნებლივ. შესაბამისად, მ. წ-ის მოთხოვნა იყო ყოველთვიური კომპენსაციის მიღება, რადგან კანონში შეტანილმა ცვლილებამ მას მისცა ყოველთვიური კომპენსაციის მიღების უფლება.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისი სარჩელით მოთხოვნილი იყო ყოველთვიური კომპენსაცია და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. განმცხადებელი ითხოვს იმის განმარტებას – არის თუ არა მ. წ-ი

უფლებამოსილი პირი, მიიღოს რაიმე სახის ყოველთვიური კომპენსაცია მისი მეუღლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ნ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მ. ნ-ის 2015 წლის 10 ნოემბრის განცხადებაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მ. ნ-ის მიერ სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლების საფუძველზე, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა კომპენსაციის დანიშვნის მიზნით ცნობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ზ. ს. ძე ნ-ის (დაბ. ...წ.) ოჯახის წევრისათვის – მეუღლისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, ზ. ს. ძე ნ-ის (დაბ. ...წ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის **50-ე მუხ-**

ლის 1¹ პუნქტი) დაღუპვის ფაქტის დადასტურების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. მოცემულ დავაში სარჩელი არ იყო აღძრული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების – ყოველთვიური კომპენსაციის დანიშვნის მოთხოვნით, შესაბამისად, მ. წ-ის მიერ გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული საკითხი საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების მსჯელობის საგანი არ ყოფილა, რამდენადაც განმცხადებლის მიერ მითითებული უფლება – ყოველთვიური კომპენსაციის მიღების შესახებ გამომდინარეობს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტიდან და იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს ამ ნორმის მოთხოვნებს (არის მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი), შეუძლია აღნიშნული კანონით დადგენილი წესით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოს — საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, მოცემულ დავაში სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის საკითხი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამას-

თან, გადანყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადანყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადანყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. გადანყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადანყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადანყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. ნ-ს უარი უნდა ეთქვას გადანყვეტილების განმარტებაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი იძლევა გადანყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადანყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებული საკითხი – უფლებამოსილია თუ არა მ. ნ-ი მიიღოს რაიმე სახის ყოველთვიური კომპენსაცია მისი მეუღლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვალების გამო, არ წარმოადგენდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადანყვეტილებით განხილული დავის საგანს და საკასაციო პალატის აზრით, სცილდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების განმარტების ფარგლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ განმცხადებლის – მ. ნ-ის შუამდგომლობა გადანყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ნ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვებითლების სარეზოლუციო ნაწილის პუნდოვანება, როგორც გადანყვებითლების განმარტების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-569-569(კს-18)

11 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემაღვლნობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება, გამოუყენებელი შვებულების ნატურით ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ს-მა 2014 წლის 23 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასარჩელო მოთხოვნისა და მოპასუხეთა წრის დაზუსტების შემდეგ, ზ. ს-მა მოპასუხეებად მიუთითა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა

საკონკურსო-საატესტაციო კომისია და საპრეტენზიო კომისია. მოსარჩელემ მოითხოვა ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 3 დეკემბრის №2/77 ბრძანება ზ. ს-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ქ. თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება ზ. ს-ის ნაწილში, ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ქალაქ თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №6 საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის საატესტაციო შედეგის არადამაკმაყოფილებლად მიჩნევის ნაწილში, ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ქალაქ თბილისის მერიის მოხელეთა ატესტაციის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №1 საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის საჩივრის უარყოფის ნაწილში, ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ქალაქ თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 21 ნოემბრის №7 საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის თაობაზე საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული საოქმო გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ქალაქ თბილისის მერიის მოხელეთა ატესტაციის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის მიერ უმოქმედობით მიღებული გადაწყვეტილება ამავე კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №6 ოქმზე მოსარჩელის ნაწილში წარდგენილი შენიშვნების უარყოფის შესახებ, ზ. ს-ი დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნეს სამსახურში, ზ. ს-ს აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური ხელფასი სრულად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლას დაეკისროს ზ. ს-ის სასარგებლოდ გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების ნატურით ანაზღაურება და მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელის მიერ განუული პროცესის ხარჯების სრული ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ს-ის სარჩელი მოპასუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო და საპრეტენზიო კომისიების მიმართ არ დაკმა-

ყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. ს-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ზ. ს-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული საოქმო განჩინებების გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №6 ოქმით მიღებული საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის საატესტაციო შედეგის არადამაკმაყოფილებლად მიჩნევის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მერიის მოხელეთა ატესტაციის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის 2014 წლის 14 ნოემბრის №1 სხდომის ოქმით მიღებული საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის საჩივრის უარყოფის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 24 ნოემბრის №7 სხდომის ოქმით მიღებული შემაჯამებელი საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის თაობაზე საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული საოქმო გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 3 დეკემბრის №2/77 ბრძანება ზ. ს-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და დაევალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ სასამართლოს გარეშე ხარჯის სახით, ადვოკატის დახმარებისთვის 600 ლარის ანაზღაურება და პროცესის სხვა ხარჯის 100 ლარის ანაზღაურება; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; აპელანტის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მოქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ს-მა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისია).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის გაჩინებით ზ. ს-ის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის) საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

ზ. ს-ის წარმომადგენელმა – ი. პ-მა 2017 წლის 26 დეკემბერს შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. შუამდგომლობის ავტორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2016 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტის განმარტება და გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით ზ. ს-ის წარმომადგენლის ი. პ-ის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის განმარტებისა და გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტის მოთხოვნის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტის ბუნდოვანება, შესაბამისად, გადაწყვეტილება არის გასაგები და განმარტებას არ საჭიროებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი განიმარტება იმგვარად, როგორც ამას განმცხადებელი მოითხოვს, ეს გამოიწვევს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის შეცვლას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

262-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნით დაუშვებელია. კანონიერ ძალაში შესული 2016 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ განაცდური ხელფასის ნაწილში ზ. ს-ის სარჩელი იმ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზე არ არის გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხი, რომელიც საჭიროებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადანყვეტას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ს-მა. კერძო საჩივრის ავტორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტების/გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადანყვეტის მიზნით საქმის სააპელაციო პალატისათვის შესაბამისი მითითებებით უკან დაბრუნება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 12 სექტემბრის №ბ01.011.72552 ბრძანებით ზ. ს-ი დაინიშნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის ცხელი ხაზის განყოფილების ... თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით. სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდისათვის მიუღებელი ხელფასის განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით ზ. ს-მა არაერთხელ მიმართა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას, რაზედაც გამგეობის 2017 წლის 13 ოქტომბრის წერილით უარი განუცხადეს განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე, იმ საფუძველით, რომ ამგვარი რამ არ მიუკუთვნებია სასამართლოს მოსარჩელისთვის, რაც კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ცალსახად ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტს და ასევე ამავე კანონის წინამორბედ კანონს „საჯარო სამსახურის შესახებ“. რამდენადაც მოსარჩელე აღდგენილია სამსახურში, ხოლო მას განაცდურის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა, მაშინ როდესაც განაცდურის საკითხი აღდგენის შემთხვევაში სასამართლომ გადანყვეტა. ასეთ პირობებში განაცდურის ანაზღაურებისათვის მოსარჩელეს პრაქტიკულად უწევს ახლიდან წამოიწყოს დავა, დაუსრულებლად იდავოს, მაშინ როდესაც გადაწყვეტილების განმარტება საუკეთესო საშუალებაა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების რეალუ-

რი აღსრულების ხელშესაწყობად.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით და განმარტებაზე უარით ხელი შეუწყო პროცესის „უკვედავობას“ და ფიქციად აღიარა განაცდურზე უფლება, მაშინ როდესაც სასამართლოსადმი მიმართვის უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა და პირს საკუთარი უფლებების დასაცავად დაუსრულებლად არ უნდა უწევდეს სასამართლოში სიარული.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1997 წლის 27 ოქტომბრის კანონის 127-ე მუხლზე და 2015 წლის 27 ოქტომბრის მოქმედი კანონის 118-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უარი იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე ეწინააღმდეგება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტით დადგენილ და გადანყვეტილ შედეგებს და წარმოადგენს უკვე განხორციელებული მართლმსაჯულების უარყოფას. რამდენადაც, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის თანმდევი სამართლებრივი შედეგები აღუსრულებელია, მაშინ როდესაც მოსარჩელის აღდგენის შემთხვევაში განაცდური ხელფასის ანაზღაურების ვალდებულება აღნიშნული იყო კანონიერ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში.

კერძო საჩივრის ავტორმა საკასაციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადანყვეტილებებიდან მოყვანილი ციტატების საფუძველზე აღნიშნა, რომ არსებული სამართლებრივი რეალობა შესაძლებელია ასევე შეფასდეს და პროცესულურად დაკვალიფიცირდეს, როგორც გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხი, სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების შემაფერხებელი ხდომილება, რომელიც საჭიროებს სასამართლოს მხრიდან სწორი საპროცესო მექანიზმებით მოწესრიგებას. რამდენადაც, კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო პალატის გადანყვეტილებით პირი აღდგენილია სამსახურში და ამავე გადანყვეტილებაში აღინიშნა, რომ აღდგენისას ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას უნდა აენაზღაურებინა სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდისათვის მიუღებელი ხელფასი განაცდურის სახით, გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია განიმარტოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 იანვრის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი გულისხმობდა თუ არა ამ გადანყვეტილების აღსრულების პროცესში ზ. ს-ის აღდგენისას მისთვის განაცდური ხელფასის მოპასუხის მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებასაც, სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან, მოსარ-

ჩელის სამსახურში აღდგენის დღემდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 მაისის განჩინებით ზ. ს-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და კერძო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 თებერვლის განჩინებით ზ. ს-ის წარმომადგენლის – ი. პ-ის შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის განმარტებისა და გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტის მოთხოვნის შესახებ არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და იგი არ საჭიროებს დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან, შესაბამისად, გადაწყვეტილება არის გასაგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა,

რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. ს.-ს მართებულად ეთქვა უარი გადაწყვეტილების განმარტებაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი იძლევა გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადაწყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 3 დეკემბრის №2/77 ბრძანება ზ. ს.-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და დაევალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადა-

ვო საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების მე-7 პუნქტის კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფორმულირებით განმარტების შესაძლებლობა არ არსებობს. რამდენადაც, იმავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-9 პუნქტით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის იმ ნაწილის დაკმაყოფილებაზე, რომლის დაკმაყოფილების შესახებ კონკრეტულად არ იყო მითითებული ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ განაცდური ხელფასის ნაწილში ზ. ს-ის სარჩელი იმ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა. ამასთან, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტაციას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულობის შესახებ. თუმცა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობას და განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დარეგულირებული იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით არ არის დაკმაყოფილებული, არ შეიძლება გახდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის გამოყენებით, სარეზოლუციო ნაწილის განმარტების, განვრცობის საფუძველზე აღსრულების საგანი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საქმის წარმოების განახლების წინაპირობები

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№ბს - 106-104(კს-15)

21 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

აღწერილობითი ნაწილი:

მ. პ-მა 12.02.2013წ. სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების ფ. მ-ისა და ქ. ქუთაისის მერიის მიმართ 18.03.1993წ. პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მ. პ-მა მოითხოვა სარჩელის უზრუნველსაყოფად ყადაღის დადება მოპასუხე ფ. მ-ის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ სადავო უძრავ ნივთზე მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. №1-8 №63 (66,40კვ.).

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 12.04.2013წ. გადაწყვეტილებით მ. პ-ს სარჩელი პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 21.02.2013წ. განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ, რომლითაც ყადაღა დაედო ფ. მ-ის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, მდებარე ქ. ქუთაისი, ... ქ. №1-8 №63(66,40კვ.). აღნიშნული გადაწყვეტილება მ. პ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.2013წ. გადაწყვეტილებით მ. პ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 12.03.2012წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. პ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №4 სს უბნის წარმომადგენელსა და ფ. მ-ს შორის 18.03.1993 წ. დადებული ხელშეკრულება ქ. ქუთაისში №1-8 №63-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პრივატიზების შესახებ 1/5 ნაწილში, დანარჩენ ნა-

ნილში მ. პ-ს სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ფ. მ-მა და მ. პ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 06.01.2014წ. განჩინებით ფ. მ-ის საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, ხოლო ამავე სასამართლოს 28.01.2014წ. განჩინებით მ. პ-ს საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

ფ. მ-მა 04.11.2014წ. განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მ. პ-სათვის უძრავი ქონების, მდებარე ქ. ქუთაისი, №1-8 №63(66,40კვ.), 1/5 წილის მიკუთვნების ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.2013წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მის მიერ მოპოვებული იქნა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის 06.10.2014წ. ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მ. პ-ი 1988-97 წ.წ. სწავლობდა მითითებულ სკოლაში. განმცხადებლის მითითებით აღნიშნული ცნობა ადასტურებს, რომ ბინის პრივატიზაციის დროს – 1993 წელს, მ. პ-ი ვერ იქნებოდა სადავო ბინის მოსარგებლე. განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ მ. პ-ი არის შ. და ნ. პ-ების შვილი, რადგან მ. პ-ი დაიბადა 29.01.1982 წ., ხოლო შ. და ნ. პ-ები დაქორწინდნენ 20.03.1986 წ.. განმცხადებლის აზრით ზემოთმითითებული გარემოებები ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. ამასთან, აღნიშნავს, რომ ამ ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე მითითება საქმის განხილვის დროს ვერ მოხდა, რადგან მისმა ადვოკატმა ვერ უზრუნველყო მათი მოპოვება და წარდგენა. განმცხადებელმა მითითებული გარემოებების საფუძველზე მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.2013წ. გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 11.12.2014წ. განჩინებით ფ. მ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სოფ. ... საჯარო სკოლის მიერ 06.10.2014წ. გაცემული ცნობა ვერ გამოიწვევდა მოსარჩელისათვის ხელსაყრელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, რადგან ცნობაში ასახული გარემოება ვერ აქარწყლებს მ. პ-ს შ. და ნ. პ-ების ოჯახის წევრად მიჩნევის ფაქტს. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია მ. პ-ს დაბადების მოწმობის ასლი, რომლითაც დასტურდება რომ ის არის შ. და ნ. პ-ების შვილი. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 423.3, 430.2 მუხლების დანაწესზე და აღნიშნა, რომ გარ-

და ცნობის არასაკმარისობისა, განმცხადებელმა ვერ დაადასტურა მითითებული ცნობის თავისი ბრალის გარეშე წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ ჩათვალა, რომ ფ. მ-ის განცხადება, როგორც უსაფუძვლო, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.12.2014წ. განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ფ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის წარდგენილი იქნა მ. პ-ს სახელზე თავდაპირველად გაცემული დაბადების მოწმობა, სადაც იგი მოხსენიებულია, როგორც მ. კ-ა. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო თუ როგორ შეიცვალა მ. კ-ას გვარი პ-თ. ამ გარემოების გამოკვლევის შემდეგ წინასწარ უცნობია რა შედეგი დადგებოდა სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დროს. მითითებული გარემოების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ფ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წინამძღვრები, ხოლო 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრების და საქმის წარმოების განახლების საფუძველი არსებობს, თუ მხარისათვის ცნობილი გახ-

და ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახლად აღმოჩენილი გარემოებები იურიდიული ფაქტებია, რომლებიც არსებობდა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში და მნიშვნელობა აქვთ ამ საქმის გადასაწყვეტად, თუმცა არა ყოველი ახალი გარემოება თუ მტკიცებულება იძლევა საქმის გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლებიც ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

ფ. მ-ის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.07.2013წ. გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველად მითითებულია სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 06.10.2014წ. გაცემული ცნობა, აგრეთვე 18.04.1986წ. გაცემული დაბადების მოწმობა. საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს აღნიშნული დოკუმენტების ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევის საფუძველი, რადგან მ. პ-ს ნათესაური კავშირი შ. პ-თან და ნ. პ-თან დგინდება საქმეში არსებული, მათ შორის 02.07.2007წ. გაცემული მ. პ-ს განმეორებითი დაბადების მოწმობით. 06.10.14წ. ცნობა, რომლის თანახმად სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის დირექტორი ადასტურებს მ. პ-ს ბრონეულას სკოლა-ინტერნატში სწავლას არ გამორიცხავს მ. პ-ს შ. პ-ს ოჯახის წევრობას. საქმეში დაცულია 16.06.1988წ. და 27.02.07წ. გაცემული მ. პ-ს დაბადების მოწმობები, რომლებში მშობლებად მითითებული არიან შ. პ. და ნ. პ., ნათესაური კავშირი სააპელაციო სასამართლოს 02.07.13წ. გადაწყვეტილებით დადგენილია დაბადების მოწმობის საფუძველზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაბადება არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ. საქმეზე არ წარმოდგენილა სამოქალაქო აქტის ბათილად გამოცხადების, დაბადების თავდაპირველი მოწმობის ნამდვილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 423.3 მუხლის თანახმად საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს მისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, ამ გარემოებებზეა დამოკიდებული მხარეთა უფლებების და ვალდებულებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. ამდენად, განმცხადებელს აკისრია საპროცესო ვალდებულება – ამტკიცოს, რომ მისი ბრალის გარეშე ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიც-

ცებულებები და მისი შეფასება გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის გადასინჯვას შესაძლოა საფუძვლად დაედოს ისეთი მტკიცებულება, რომლის არსებობა საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე მხარისათვის უცნობი იყო, ახლად აღმოჩენილი გარემოება ობიექტურადაც არ უნდა ყოფილიყო ცნობილი და ამ გარემოების არსებობა არც შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო მხარისათვის საქმის განხილვის დროს. ხსენებული დებულება ხაზს უსვამს მხარის მიერ მტკიცების ტვირთის სათანადოდ გაცნობიერებას და პროცესის შეჯიბრობითობის საწყისებზე აგებას. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, არ ათავისუფლებს მოსარჩელეს მტკიცების ტვირთისაგან. მოცემულ შემთხვევაში ფ. მ-მა ვერ დაადასტურა საქმის განხილვის დროს დოკუმენტების წარმოდგენის შეუძლებლობა. აღნიშნულს არ ადასტურებს განმცხადებლის მითითება იმაზე, რომ საქმის განხილვის დროს ადვოკატმა წარმომადგენლობის მოვალეობა არასათანადოდ განახორციელა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.12.2014წ. განჩინების გაუქმების და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.12.2013წ. განჩინებით ფ. მ-ს მართებულად ეთქვა უარი განცხადების დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ფ. მ-ის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.12.2013წ. განჩინების გაუქმების და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 423-ე, 429-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ფ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.12.2014წ. განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელში

№ბს-460-455(კს-16)

13 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა-ვმა 15.05.2013 წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტის, ნ. ა-ას, ს. ა-ის, შ. ბ-ის (15 პირი) მიმართ და მოითხოვა, საქართველოს პრეზიდენტის 24.09.2012 წ. №24/09/04 განკარგულების ბათილად ცნობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ნ. ა-ას, ს. ა-სა, შ. ბ-ას, ა.ბ-ას, ხ.მ-ას და ა.მ-ს შორის დადებული 22.10.2012 წ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ი. ა-ს, ქ. ა-ვს, ა. კ-ვს, რ. ქ-ვს, ა.ქ-ვას და ე.ქ-ვს შორის დადებული 18.10.2012 წ. ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ქ-ას, თ. ქ-ას, ზ. გ-ს შორის 19.10.2012 წ. დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში: ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებში და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის

18.09.2012 წ. №528 მიმართვის ბათილად ცნობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის მოსარჩელესთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დავალევა, 91 ჰა საიჯარო მიწის ნაკვეთზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.07.2013 წ. საოქმო განჩინებით ა. ა-ის სასარჩელო განცხადებაზე მარნეულის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორის 18.09.2012 №525 მიმართვის ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება. აგრეთვე არასათანადო მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით და მოპასუხედ განისაზღვრა – სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად მესამე პირად ჩაება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.09.2013 წ. გადაწყვეტილებით ა. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. ა-ის მიერ.

11.09.2014წ. განცხადებით, საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას ა.ა-მა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და აღნიშნა, რომ ითხოვს საქართველოს პრეზიდენტის 24.09.2012 წ. №24/09/04 განკარგულების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომელიც საფუძვლად დაედო იჯარით გაცემული სადავო მიწის ნაკვეთის ფიზიკურ პირებზე გასხვისებასა და მათთან ნასყიდობის ხელშეკრულებების დადებას. ასევე მოითხოვა სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოსა და მოპასუხე ფიზიკურ პირებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ა.ა-ის მოიჯარე ვ.ა-ისა და ტ.ა-ას უფლებამონაცვლედ ცნობა, აგრეთვე მოსარჩელის 28.04.2011წ. განცხადების განხილვა და იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის ა.ა-ის სახელზე დარეგისტრირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.2014 წ. გადაწყვეტილებით ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.09.2013 წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 24.09.2012 წ. №24.09.04 განკარგულება იმ ნაწილში, რომლითაც მოხდა 31 ჰა. მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით საკუთრებაში გადაცემა შემდეგი პირებისათვის: ნ. ა-ა, ს. ა-ა, შ. ბ-ა და სხვებზე (15 პირი), ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ

სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოსა და ფიზიკურ პირებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები შემდეგ მინის ნაკვეთებზე: ნ. ა-ა (ს/კ ...); ს. ა-ი (ს/კ ...); შ. ბ-ი (ს/კ ...); ა. ბ-ა (ს/კ ...); ხ. მ-ა (ს/კ ...); ა. მ-ი (ს/კ ...); ი. ა-ი (ს/კ ...); ქ. ა-ი (ს/კ ...); ა. კ-ა (ს/კ ...); რ. ქ-ი (ს/კ ...); ა. ქ-ა (ს/კ ...); ე. ქ-ი (ს/კ ...); გ. ქ-ა (ს/კ ...); თ. ქ-ა (ს/კ ...); ზ. გ-ი (ს/კ ...); სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს დაევალა ა. ა-ის 28.04.2011 წ. და 22.02.2013 წ. განცხადებების შესწავლა და საქმის გარემოებათა გამორკვევის საფუძველზე შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.12.2014 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს პრეზიდენტის, ს. ა-ის თ. ქ-ის, ე. ქ-ის და სხვათა (15 პირი) მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივლისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს პრეზიდენტის, ს. ა-ის, თ. ქ-ის, ე. ქ-ის და სხვათა (15 პირი) საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2015 წლის 14 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა ე. ქ-მა. განმცხადებელი მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველად მიიჩნია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ა. ა-მა 2011 წლის 28 აპრილს მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქვემო ქართლის ტერიტორიულ ორგანოს განცხადებით და მოითხოვა მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფელ ... მასზე იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე პრივატიზების მიზნით უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმის გაცემა, რაზეც მოსარჩელეს პასუხი არ მიუღია. ა. ა-ი 2011 წლის 28 აპრილს არ იყო რეგისტრირებული როგორც მოიჯარე, ამ დროისათვის ჯერ კიდევ ტ. ა-ზე იყო გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულება, შესაბამისად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვერავითარ ოქმს ვერ გასცემდა ა. ა-ზე, ხოლო პასუხი რომ გაეცათ მისთვის, ტ. ა-ს უნდა მიემართა განცხადებით, რაც მას არ გაუკეთებია და ვერც გააკეთებდა, ვინაიდან, როგორც მათთვის გახდა ცნობილი, ეს უკანასკნელი ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილი იყო, გარდაცვალების რეგისტრაცია მოხდა გვიან, ხოლო თუ რა მიზეზით, უცნობია სამართლებრივი მტკიცებულებების არარსებობის

გამო.

განმცხადებლის მტკიცებით, ა. ა-მა სასამართლო მტკიცებულების სახით წარადგინა მინდობილობა, რომელიც გაცემულია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში და მინდობილობაზე ხელს აწერს ვინმე ს. მ. გ. გ-ვა, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე. აღნიშნული მინდობილობა ინვევს საფუძვლიან ეჭვს, ვინაიდან მინდობილობის გამცემიც და მიმღებიც არიან საქართველოს მოქალაქეები და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა მინდობილობის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაცემა, რის გამოც მათ მიმართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადებით, რათა გაეცათ ინფორმაცია, იყო თუ არა ტ. ა-ი გასული საქართველოს საზღვრებს გარეთ, კერძოდ, აზერბაიჯანის მიმართულებით 2011 წლის 1 აპრილიდან 30 მაისამდე, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდშია გაცემული მინდობილობა, რომელიც ა. ა-ს უფლებას აძლევდა განეკარგა თავისი შესხედულებისამებრ მინის ნაკვეთი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ პუნქტის, 424-ე მუხლის პირველი ნაწილის, 425-ე, 426-ე და 427-ე მუხლების თანახმად, განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინებით ე. ქ-ის განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება არ შეიცავდა იმ წანამძღვრებს, რომლებიც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შესაძლებელია საფუძვლად დაედოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა მართალია ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას და დასრულებული საქმის წარმოების განახლებას ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა საქმის წარმოების განახლებას უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის პირობებში, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებების არსებობის გამოვლენის შემთხვევაში, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განხილვის

პროცესში, კერძოდ, 2014 წლის 5 დეკემბერს, სასამართლო სხდომაზე წარდგენილ იქნა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, სადაც ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენდა აპელანტის – ა. ა-ის უფლებამოსილების საკითხი, რაზედაც სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა შესაბამისი განჩინება. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ გარემოებაზე მითითებას შეიცავს ასევე მესამე პირების მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს აზრით, ე. ქ-ის განცხადებაში მითითებული გარემოება ა. ა-ის უფლებამოსილების თაობაზე ვერ ჩაითვლება იმ გარემოებად, რომელიც არ იყო ცნობილი საქმის განხილვის პროცესში.

რაც შეეხება მითითებას მინდობილობის გაყალბების თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლებისათვის არ არის საკმარისი მითითება დოკუმენტის სიყალბეზე, საჭიროა დოკუმენტის სიყალბე დადგინდეს შესაბამისი განაჩენით, რაც განმცხადებლის მხრიდან წარმოდგენილი არ არის და რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა აღნიშნული მოტივით განცხადების დაშვებასა და საქმის წარმოების განახლებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ე. ქ-მა კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის თანახმად უნდა გამოეთხოვა მტკიცებულება და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელა განცხადების დასაშვებობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება და მიიჩნევს, რომ ე. ქ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სა-

სამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ე. ქ-ის განცხადების დაუშვებლად ცნობის საფუძველი არსებობდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლებისათვის არ არის საკმარისი მითითება დოკუმენტის სიყალბეზე, საჭიროა დოკუმენტის სიყალბე დადგინდეს შესაბამისი განაჩენით, რაც განმცხადებლის მხრიდან წარმოდგენილი არ არის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეთხოვა მტკიცებულება ტ. ა-ის მიერ 2011 წლის 1 აპრილიდან 30 მაისამდე პერიოდში საზღვრის გადაკვეთის თაობაზე. მხარის აზრით, ეს ინფორმაცია დაადასტურებდა მინდობილობის გაყალბებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დოკუმენტის სიყალბის დასადასტურებლად ერთადერთი დასაშვები მტკიცებულება არის კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რაც განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს. სააპელაციო სასამართლოს თუნდაც გამოეთხოვა ზემოაღნიშნული ინფორმაცია, ეს მონაცემები გავლენას ვერ მოახდენდა ე.ქ-ის განცხადების განხილვაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, მართალია, ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას და დასრულებული საქმის წარმოების განახლებას, ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა საქმის წარმოების განახლებას უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის შემთხვევაში, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებების არსებობის გამოვლენისას,

რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2014 წლის 5 დეკემბერს, სასამართლო სხდომაზე მხარემ იშუამდგომლა საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე. შუამდგომლობის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა აპელანტის – ა. ა-ის უფლებამოსილების საკითხი, რაზედაც სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა შესაბამისი განჩინება. საგულისხმოა, რომ ამავე გარემოებაზე მითითებას შეიცავს ასევე მესამე პირების მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი (ერთ-ერთი კასატორია ე. ქ-ი), ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ე. ქ-ის განცხადებაში მითითებული გარემოება ა. ა-ის უფლებამოსილების თაობაზე ვერ ჩაითვლება იმ გარემოებად, რომელიც არ იყო ცნობილი საქმის განხილვის პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. ქ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბ-1439-8(ა-16)

8 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე
ვ. როინიშვილი

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ჩ-ემ 01.12.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიმართ შინაგან საქმეთა მინისტრის 19.09.2014წ., 20.01.2015წ. ბრძანებების ბათილად ცნობის, შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ი. ჩ-ის სამსახურში აღდგენის და სსიპ მომსახურების სააგენტოსათვის იძულებითი გაცდენილი პერიოდის ანაზღაურების დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.07.2015წ. გადაწყვეტილებით ი. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 19.09.2014წ. და 20.01.2015წ. ბრძანებები, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.06.2016წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.07.2015წ. გადაწყვეტილება. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და შსს სსიპ მომსახურების სააგენტომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.11.2016წ. განჩინებით შსს სსიპ მომსახურების

სააგენტოს საკასაციო საჩივარი, როგორც გასაჩივრების ვადის დარღვევით შემოტანილი, განუხილველად იქნა დატოვებული. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების ასლი საქმეში მითითებულ მისამართზე სსიპ მომსახურების სააგენტოს გაეგზავნა და ჩაბარდა 31.08.2016წ. მხარისათვის აღნიშნული განჩინების გასაჩივრების ბოლო ვადა იყო 21.09.2016 წ. (ოთხშაბათი) 24 საათი. საკასაციო საჩივარი მხარემ სასამართლოში წარადგინა 22.09.2016წ., საკასაციო საჩივარზე თანდართული კონვერტი არ შეიცავს მითითებას საკასაციო საჩივრის უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის სხვა თარიღის შესახებ, რის გამოც სსკ-ის 397.1, 61.3, 63-ე მუხლების საფუძველზე შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, როგორც გასაჩივრების 21-დღიანი ვადის დარღვევით შემოტანილი, დატოვებულ იქნა განუხილველად.

01.12.2016წ. შსს სსიპ მომსახურების სააგენტომ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 04.11.2016წ. განჩინების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. განმცხადებელმა აღნიშნა რომ „...“ წარმომადგენლის მიერ დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი: ფოსტამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ჩაბარებულ კონვერტზე არ მითითა გზავნილის ფოსტაში შესვლის თარიღი. განმცხადებლის მითითებით საკასაციო საჩივარი ფოსტაში წარდგენილ იქნა 20.09.2016წ. – გასაჩივრების 21-დღიანი ვადის დაცვით, რასაც ადასტურებს მომართვა „...“.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს განცხადების სამართლებრივ საფუძვლებს, რის შემდეგაც მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს განცხადებაზე თანდართულია „...“ მომართვა, რომლის მიხედვით №2357026 პაკეტის გაგზავნის თარიღია 20.09.2016წ., ამასთანავე, აღნიშნული პაკეტი სააპელაციო სასამართლოს ჩაბარდა 22.09.2016წ.. საქმეში დაცული შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრის ნომრად მითითებულია №7 16 02357026, კორესპონდენცია სააპელაციო სასამართლოს მიღებული აქვს 22.09.2016წ..

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია

ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივრის წარდგენის 21-დღიანი ვადა ეწურებოდა 21.09.2016 წ. 24 საათზე. „...“ მიმართვის თანახმად, კორესპონდენცია ფოსტას წარედგინა 20.09.2016წ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი 21-დღიანი ვადის დაცვით არის შემოტანილი, ამასთანავე, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებული იყო „...“ მიერ დაშვებული ხარვეზით, რადგან კონვერტზე არ იყო მითითებული გზავნილის (საკასაციო საჩივრის) ფოსტაში შეტანის თარიღი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ გამოიკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადანყვეტილებას (განჩინებას) სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.11.2016წ. განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. შსს სსიპ მომსახურების სააგენტოს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.11.2016წ. №ბს-862-854(2კ-16) განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს წარმოება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-155-153(კს-17)

8 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მარტვილის რაიონის სოფელ ეკლესიის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ეკლესიის გარშემო მდებარე 6,419 ჰა მიწის ფართობი, აქედან: სახნავი – 1,7 ჰა, ნაგებობის ქვეშ განთავსებული – 0,15 ჰა, გზები – 0,07 ჰა, პარკ-ხეივანი – 1,299 ჰა, ეზო – 2,70 ჰა, სხვა დანარჩენი – 0,50 ჰა; სათანადო თანხმობის საფუძველზე მოპასუხეების: ი. ს-ას საკუთრებაში არსებული 0,23 ჰა მიწის ნაკვეთი, ო. ბ-ას საკუთრებაში არსებული 0,169 ჰა მიწის ნაკვეთი, გ. ც-ას საკუთრებაში არსებული 0,85 ჰა მიწის ნაკვეთი, გ. ბ-ას საკუთრებაში არსებული 0,1313 ჰა მიწის ნაკვეთი, ა. ბ-ას საკუთრებაში არსებული 0,23 ჰა მიწის ნაკვეთი და ნ. ს-ას საკუთრებაში არსებული 0,168 ჰა მიწის ნაკვეთი საკუთრების უფლებით გადაეცა სოფელ ეკლესიას და საჯარო რეესტრში მოხდა შესაბამისი რეგისტრაცია. ამასთან, საჯარო რეესტრის მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურში გაუქმდა მოპასუხეებზე აღნიშნული ნაკვეთების საკუთრების უფლებების რეგისტრაცია; მოსარჩელეს უარი ეთქვა სოფელ ..., ჯ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის გადაცემაზე და საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრაციაზე უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით მარტვილის რაიონის სოფელ ეკლესიის მოძღვარ ს. დ-ას წარმომადგენლის ე. ქ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის

გადაწყვეტილება სოფელ ... ჯ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის გადაცემაზე და საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; მარტვილის რაიონის სოფელ ეკლესიის მოძღვარ ს. დ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ჯ. ჯ-ას სახელზე მარტვილის რაიონის სოფელ ... მდებარე 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის 2006 წლის 4 იანვრის საჯარო რეესტრის ჩანაწერი; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურს მარტვილის რაიონის სოფელ ... მდებარე 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით მარტვილის რაიონის სოფელ ეკლესიის სახელზე აღრიცხვა დაევალა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინებით ჯ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2016 წლის 29 აგვისტოს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართეს ო. და ჯ. ჯ-ებმა, რომლებმაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების დადინების სასახლის კუთვნილი მარნის ნაწილში და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების ჯ. ჯ-ას საკუთრებაში არსებული 0,201 ჰა მიწის ნაკვეთის ნაწილში გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს იმ მოტივით, რომ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მტკიცებულებები, რომელთაც მოსარჩელე ამყარებდა მოთხოვნებს და რომელთაც ემყარება სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინება, ყალბი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 სექტემბრის განჩინებით (№ბ-1103-5 (ა-16)) ო. და ჯ. ჯ-ების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ო. და ჯ. ჯ-ებს დაუდგინდათ ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი განცხადების, სათანადო წესით

დამონმებული მინდობილობის ან მათ მიერ ხელმოწერილი განცხადების წარსადგენად განესაზღვრათ 5-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ამასთან, განემარტათ, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ ო. და ჯ. ჯ-ებს საქმეში მითითებულ მისამართებზე, მაგრამ ვერ მოხერხდა მათთვის საპროცესო დოკუმენტის ჩაბარება.

სასამართლო მოხელის (მოსამართლის თანაშემწის) მხარესთან სატელეფონო კომუნიკაციის გზით გაირკვა, რომ ო. და ჯ. ჯ-ები არიან მამა-შვილი და ცხოვრობენ ერთ მისამართზე – ქ. თბილისი, ... ქ. №25/4, ბინა №88. 2016 წლის 12 ოქტომბერს ო. და ჯ. ჯ-ებს მითითებულ მისამართზე გაეგზავნათ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინების ასლი, რომელიც იმავე წლის 15 ოქტომბერს პირადად ჩაბარდა ო. ჯ-ას.

2016 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „...“ თავმჯდომარემ – ო. ჯ-ამ და მოითხოვა განცხადების დასაშვებად ცნობა, მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ო. და ჯ. ჯ-ების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის LLII თავის – „განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი განხილვის წესი“, ნორმების საფუძველზე განმარტა, რომ განცხადების განხილვა ექვემდებარება სტადიებს: 1. განცხადების დასაშვებობა; 2. განცხადების საფუძვლიანობა. განცხადების დასაშვებობის სტადიაზე სასამართლო ამონმებს ორ კრიტერიუმს: 1. განცხადების წარდგენის ვადის დაცულობას და 2. განცხადების სსსკ-ის 427.1. მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. სსსკ-ის 427.1 მუხლი განსაზღვრავს განცხადების შინაარსს, ამავე

მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება. ზემოაღნიშნული კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავის განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობა. ამავე კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის ვადის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ო. და ჯ. ჯ-ებს განცხადებაზე, რომლითაც ისინი ითხოვდნენ კანონიერ ძალაში შესული მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებების გაუქმებას, დაუდგინდათ ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი განცხადების, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის ან მათ მიერ ხელმოწერილი განცხადების წარმოსადგენად, განესაზღვრათ ვადა 5 (ხუთი) დღე – ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ხარვეზის განჩინება ჩაბარდათ განმცხადებლებს 2016 წლის 15 ოქტომბერს (კერძოდ, ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაიბარა ო. ჯ-ამ, ჯ. ჯ-ას მამამ). ჯ. ჯ-ას ხარვეზი არ გამოუსწორებია, მას რაიმე განცხადებით სასამართლოსთვის არ მოუმართავს.

ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, 2016 წლის 21 ოქტომბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პა-

ლატას განცხადებით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „...“ თავმჯდომარემ, ო. ჯ-ამ და მოითხოვა განცხადების დასაშვებად ცნობა, მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ო. ჯ-ა ადმინისტრაციულ საქმეში (რომელზეც მიღებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 25.12.2007წ. გადაწყვეტილება) არ წარმოადგენდა მხარეს, ის მხოლოდ ჯ. ჯ-ას წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებდა მარტვილის რაიონულ სასამართლოში (იხ. მარტვილის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი). სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებზე, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით განცხადების შეტანაზე უფლებამოსილნი არიან საქმეში მონაწილე მხარეები (მოსარჩელე/მოპასუხე), მესამე პირები (ასკ-ის 16.2 მუხ.) და სხვა დაინტერესებული პირები. ამდენად, ო. ჯ-ა არ წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ პირს, ჯ. ჯ-ას კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით განცხადება არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საგულისხმოა ისიც, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან – განცხადების შეტანამდე გასული იყო 5 წელზე მეტი. შესაბამისად, განცხადება (რომც ყოფილიყო წარმოდგენილი შესაბამისი სუბიექტის მიერ) არ აკმაყოფილებდა განცხადების დასაშვებად ცნობის კრიტერიუმს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ო. და ჯ. ჯ-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არის აშკარად უკანონო და დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. მათი მოსაზრებით, განცხადების მოთხოვნა საფუძვლიანია და არ არსებობს მისი განუხილველად დატოვების საფუძველი.

2017 წლის 18 აპრილს ო. და ჯ. ჯ-ებმა საკასაციო სასამართლო-

ში წარმოადგინეს განცხადება, რომლითაც იშუამდგომლეს მოცემული ადმინისტრაციული საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

განცხადების ავტორებმა აღნიშნეს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინება არის აშკარად უკანონო. განჩინება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლების არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა. ასევე არასწორად განმარტა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი, რომლის თანახმად, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი არიან საქმეში მონაწილე მხარეები და სხვა დაინტერესებული პირები მაშინ, როცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლში ასეთი მინიშნება არ არის. კერძო საჩივრის ავტორების მითითებით, სააპელაციო პალატა ასევე აპელირებს სსკ-ის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნაზე, რაც არასწორად არის განმარტებული, რადგან კანონში შეტანილ ცვლილებას უკუქცევითი ძალა არ აქვს.

კერძო საჩივრის ავტორების აზრით, საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. მოცემულ საქმეზე სასამართლოებმა მოქალაქეებს ჩამოართვეს საკუთრებაში არსებული და მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება. მითითებული საქმე ასევე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, რის გამოც იგი განსახილველად უნდა გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მარტის განჩინებით ო. და ჯ. ჯ-ების კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, შუამდგომლობის გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. და ჯ. ჯ-ების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-

ველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმის მასალების მიხედვით, მარტვილის რაიონის სოფელ ეკლესიის მოძღვრის – ს. დ-ას სარჩელით დაწყებული საქმის წარმოება ჯ. ჯ-ასა და მარტვილის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ დასრულდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მარტვილის რაიონის სოფელ ეკლესიის მოძღვრის – ს. დ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, შევიდა კანონიერ ძალაში.

2016 წლის 29 აგვისტოს ო. და ჯ. ჯ-ების წარმომადგენელმა – ვ. ნ-ამ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების (ნაწილობრივ) და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების (ნაწილობრივ) გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 სექტემბრის განჩინებით (№ბ-1103-5(ა-16)) ო. და ჯ. ჯ-ების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ო. და ჯ. ჯ-ებს დაუდგინდათ ხარვეზი და მის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი განცხადების, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის ან მათ მიერ ხელმოწერილი განცხადების წარმოსადგენად, განესაზღვრათ ვადა 5 (ხუთი) დღე – ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

აღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ განმცხადებლებს – ო. და ჯ. ჯ-ებს, საქმის მასალებში მითითებულ მისამართებზე, მაგრამ ვერ მოხერხდა მათთვის განჩინების ასლების ჩაბარება. საბოლოოდ, განმცხადებელთა მისამართის გარკვევის შემდეგ, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინების ას-
ლი 2016 წლის 15 ოქტომბერს პირადად ჩაბარდა ო. ჯ-ას.

2016 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა არა-
სამთავრობო ორგანიზაცია „...“ თავმჯდომარემ, ო. ჯ-ამ და მოით-
ხოვა განცხადების დასაშვებად ცნობა, მარტვილის რაიონული სა-
სამართლოს 2007 წლის 23 ივლისის და ქუთაისის სააპელაციო სა-
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დე-
კემბრის გადაწყვეტილებების გაუქმება და საქმის წარმოების შენ-
ყვეტა სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამარ-
თლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით, მოქმედი საპროცე-
სო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მართებულად
დარჩა განუხილველად ო. და ჯ. ჯ-ების განცხადება ახლად აღმო-
ჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალა-
ქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავზე, რომელიც განსაზღვრავს
საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის
წესს. განცხადების განხილვა ექვემდებარება სტადიებს – განცხა-
დების დასაშვებობა და განცხადების საფუძვლიანობა. განცხადე-
ბის დასაშვებობის სტადიაზე სასამართლო ამოწმებს ორ კრიტე-
რიუმს – განცხადების წარდგენის ვადის დაცულობას და განცხა-
დების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე
მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესა-
ბამისობას. მითითებული ნორმა განსაზღვრავს განცხადების ში-
ნაარსს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხა-
დება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს
განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას.
თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება.
ზემოაღნიშნული კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე თუ არ არ-
სებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ
თავის განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

მოცემულ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 სექტემბრის
განჩინებით ო. და ჯ. ჯ-ებს დაუდგინდათ ხარვეზი და მის აღმო-
საფხვრელად, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის 427-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი განცხა-
დების, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის ან მათ მი-
ერ ხელმოწერილი განცხადების წარმოსადგენად განესაზღვრათ
5-დღიანი ვადა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ხარვეზის გან-
ჩინება განმცხადებლებს ჩაბარდათ – 2016 წლის 15 ოქტომბერს

(კერძოდ, ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაიბარა ო. ჯ-ამ, ჯ. ჯ-ას მამამ). ჯ. ჯ-ას ხარვეზი არ გამოუსწორებია, მას რაიმე განცხადებით სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

2016 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაცია „...“ თავმჯდომარემ – ო. ჯ-ამ და მოითხოვა განცხადების დასაშვებად ცნობა, მარტვილის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ო. ჯ-ა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენდა მხარეს. ის მხოლოდ ჯ. ჯ-ას წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებდა მარტვილის რაიონულ სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლების, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი არიან საქმეში მონაწილე მხარეები (მოსარჩელე/მოპასუხე), მესამე პირები (ასკ-ის 16.2 მუხ.) და სხვა დაინტერესებული პირები. ამდენად, ო. ჯ-ა არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ პირს, ჯ. ჯ-ას კი, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით, განცხადება არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კა-

ნონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გავლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან განცხადების შეტანამდე, კერძოდ, 2016 წლის 29 აგვისტომდე, გასულია ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა, რის გამოც განცხადება არ აკმაყოფილებს განცხადების დასაშვებად ცნობის კრიტერიუმს. კანონით დადგენილი ვადა გასულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ განცხადებას წარადგენდა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი.

რაც შეეხება შუამდგომლობას საქმის განსახილველად დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას, საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას), საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმისადმი დიდი ინტერესის, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების საჭიროების, იშვიათი სამართლებრივი პრობლემის არსებობის საფუძველით საქმის დიდი პალატისათვის განსახილველად გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა განეკუთვნება საქმის განმხილველი საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებულ, დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის მიხედვითაც სასამართლო თავისი შეხედულებით განსაზღვრავს საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის საკითხს. საკასაციო პალატა დიდი პალატისათვის საქმის განსახილველად გადაცემის საჭიროებას წყვეტს არა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, არამედ დამოუკიდებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ო. და ჯ. ჯ-ების შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹-ე მუხლის მოთხოვნებს და საქმე განსახილველად არ უნდა გადაეცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. და ჯ. ჯ-ების კერძო საჩივარი, ასევე,

შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ო. და ჯ. ჯ-ების შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისთვის საქმის განსახილველად გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. ო. და ჯ. ჯ-ების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 31 ოქტომბრის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

**განჩინება
საქართველოს სახელის**

№ბს-763-759(კს-17)

21 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 11 აგვისტოს ო. და ა. კ-ებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ.

დაზუსტებული სარჩელით მოსარჩელებმა მოითხოვეს: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის 20 ივლისის წერილის ბათილად ცნობა; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2008 წლის 16 მაისს დადებულ უზუფრუქტის ხელშეკრულებასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის №1-1/635 ბრძანებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, დაბა აბასთუმანში, ... №...-ში და დაბა აბასთუმანში, ... მდებარე საცხოვრებელ სახლებში განმცხადებლებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომების უზუფრუქტის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაცემული ქონების ნუსხიდან ამოღება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის დაბრუნება; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2008 წლის 16 მაისს დადებულ უზუფრუქტის ხელშეკრულებაში განხორციელებული ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საბინაო ფონდის დანიშნულებსამებრ გამოყენების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 ივლისის №501 დადგენილებით ნაკისრი ვალდებულების (განმცხადებლების საცხოვრებელი სადგომებით დაკმაყოფილების შესახებ) შესასრულებლად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დავალდებულება; ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 9 სექტემბრის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ №08-0-11/11085 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

დაზუსტებულ სარჩელში მოპასუხებებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დასახელდნენ აგრეთვე საქართველოს მთავრობა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2011 წლის 18 ნოემბერს მოსარჩელების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹-ე მუხლის საფუძველზე გამოიხმო ა. კ-ას სარჩელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე ა. კ-ას უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, სარჩელის წარმოებაში მიღებამდე მისი გამოხმობის გამო. ხოლო ამავე სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ო. კ-ას სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მაისის განჩინებით ო. კ-ას სარჩელზე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის 20 ივლისის წერილის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის შესახებ საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ო. კ-ას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მაისის განჩინება (საქმე №3/4184-11) ო. კ-ას სარჩელზე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილების, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2011 წლის 20 ივლისის წერილის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ 2012 წლის 14 ივნისს კერძო საჩივრით გასაჩივრდა ო. კ-ას მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 ივლისის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის

მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 თებერვლის საოქმო განჩინებით დავის საგნის არარსებობის გამო შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოსარჩელის მოთხოვნას: ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2008 წლის 16 მაისს დადებულ უზუფრუქტის ხელშეკრულებასა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 აპრილის №1-1/635 ბრძანებაში, კერძოდ, დაბა აბასთუმანში, ... №...-ში და დაბა აბასთუმანში, ... მდებარე საცხოვრებელ სახლებში განთავსებული განმცხადებლებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომები ამოღებულ იქნეს უზუფრუქტის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაცემული ქონების ნუსხიდან და დაუბრუნდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 თებერვლის საოქმო განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მესამე პირის ნაცვლად საქმეში მოპასუხედ ჩაება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 თებერვლის განჩინებით ო. კ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მაისის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ო. კ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 მაისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 ივლისის №501 დადგენილებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელება და ამ დადგენილების შესაბამისად, ო. კ-ას საცხოვრებელი სადგომით დაკმაყოფილების უზრუნველყოფა დავალა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 სექტემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2016 წლის 9 ივნისს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

განმცხადებლის განმარტებით, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით სააგენტომ დაიწყო შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოება, რომლის ფარგლებშიც სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის 14 იანვრის №5/1863 ნერილის საფუძველზე გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია ო. კ.-ასთან შრომითი ურთიერთობების შესახებ (წლების მიხედვით).

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის 11 მაისის №35/1895 ნერილით ირკვევა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ... მკვლევრის – ო. კ.-ას სახელფასო სარგომ 2012 წლიდან – 2014 წლის ჩათვლით შეადგინა: 2012 წლის ხელფასის დარიცხულმა ჯამურმა თანხამ – 4 496 ლარი; 2013 წლის ხელფასის დარიცხულმა ჯამურმა თანხამ – 9 700 ლარი; 2014 წლის ხელფასის დარიცხულმა ჯამურმა თანხამ – 7 123 ლარი.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის 11 მაისის №35/1895 ნერილით გახდა ცნობილი, რომ ო. კ.-ა საქმიან და ანაზღაურებად ურთიერთობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ამდენად, განმცხადებლის მოსაზრებით სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის 11 მაისის №35/1895 ნერილით გახდა ცნობილი ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივნისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის

წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებელი – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ვერ უთითებს რაიმე ისეთ საპატიო მიზეზს, რის გამოც მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს გამოეთხოვა ანალოგიური შინაარსის ცნობები ო. კ-ას ხელფასის შესახებ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და წარმოედგინა ისინი სასამართლოში. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, რომელიც განსახილველ საქმეში წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს, საქმის არსებითად განხილვის დროს სრული შესაძლებლობა ჰქონდა ანალოგიური შინაარსის ცნობები ო. კ-ას ხელფასის შესახებ გამოეთხოვა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და წარმოედგინა ისინი სასამართლოში, რაც მას არ გაუკეთებია და ვერც მიუთითებს ამის საპატიო მიზეზზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სააგენტოს მიერ არაერთხელ იქნა მოძიებული და გამოკვლეული ო. კ-ა რა ურთიერთობაში იყო ილიას უნივერსიტეტთან. მეტიც, თუკი სააგენტომ, როგორც ამას გადაწყვეტილებაში აღნიშნავს სასამართლო, ვერ შეძლო მოეპოვებინა ო. კ-ას ხელფასის ცნობა, სასამართლოს ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, შეეძლო საკუთარი ინიციატივით თავად მოეპოვებინა ადმინისტრაციული დავის განსახილველად დამატებითი ინფორმაცია ან საჭირო მტკიცებულებები.

განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციური ბუნება განასხვავებს მას სამოქალაქო-სამართლებრივი პროცესისაგან. თუ ადმინისტრაციული პროცესის მიმდინარეობისას სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია საქმის გარემოებათა ობიექტური გამოკვლევისათვის, იგი თავად იწყებს თავისი ინიციატივით მტკიცებულებათა მოძიებასა და გარემოებათა გამოკვლევას. ამასთანავე, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლომ შეიძლება იმგვარ გარემოებებზე გაამახვილოს ყურადღება, რომლებზეც მხარეებს პროცესის მსვლელობისას არანაირი

ინფორმაცია თუ მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ.

განმცხადებლის განმარტებით სააგენტოსათვის სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის 11 მაისის №35/1895 წერილით გახდა ცნობილი ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. კერძოდ, ო. კ-აზე არ გავრცელდებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 ივლისის №501 დადგენილებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი არსებობს, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოე-

ბათა გამო საქმის წარმოების განახლება მითითებული საფუძველით დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-265-ე მუხლების შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის პირობებში საქმის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძველად დასრულებული საქმის წარმოების განახლებას, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში და ამასთან, აღნიშნული გარემოებები ან მტკიცებულებები ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

განცხადების ავტორი საქმის წარმოების განახლების საფუძველად მიუთითებს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის 11 მაისის №35/1895 წერილზე, რომლითაც ირკვევა, რომ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ... მკვლევართს ო. კ-ას სახელმწიფო სარგომ 2012 წლიდან – 2014 წლის ჩათვლით შეადგინა: 2012 წლის ხელფასის დარიცხულმა ჯამურმა თანხამ – 4 496 ლარი; 2013 წლის ხელფასის დარიცხულმა ჯამურმა თანხამ – 9 700 ლარი; 2014 წლის ხელფასის დარიცხულმა ჯამურმა თანხამ – 7 123 ლარი. განმცხადებლის მოსაზრებით აღნიშნული წერილით დადასტურებული გარემოება წარმოადგენდა „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საბინაო ფონდის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 ივლისის №501 დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის წარმოების განახლების პირობას წარმოადგენს ფაქტის სიახლე, ამასთანავე საუბარია არა უბრალოდ ახალ, არამედ ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე, ე.ი. ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, რომელიც საქმის განხილვის დროს არსებობდა, მაგრამ არ იყო ცნობილი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისა და სასამართლოსათვის, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. აღნიშნული გარემოებები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადების დასაშვებობის აუცილებელ პირობას.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ვერ უთითებს რაიმე ისეთ საპატიო მიზეზს, რის გამოც მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს გამოეთხოვა ანალოგიური შინაარსის ცნობები ო. კ-ას ხელფასის შესახებ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და წარმოედგინა ისინი სასამართლოში. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სასამართლოში სარჩელის განხილვისას წარდგენილი იყო სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2014 წლის 12 მარტის №01-1249 ცნობა, რომლის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ო. კ-ა აღარ იმყოფებოდა ანაზღაურებად შრომით ურთიერთობაში აღნიშნული მტკიცებულების გაქარწყლების შესაძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე გააჩნდა მოპასუხეს. ამასთან, სასკ-ის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით მას არ უსარგებლია, ხოლო საქმეში არსებული მტკიცებულებები გამორიცხავდა მე-19 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების (და არა ვალდებულების) გამოყენების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების, განცხადების დასაშვებობის პირობები, არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობა, რის გამოც არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების შესაბამისად მისი გაუქმების საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მართებულად ეთქვა უარი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კერძო სა-

ჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ივნისის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბ-10-1(ა-18)

12 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2017წ. №ბს-1120-1114(კ-17) განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

ა(ა)იპ ... (...) 02.11.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 13 ივლისის განცხადებებით მოთხოვნილი შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დანიშნული თანამშრომლების რაოდენობა, მათი ძველი და ამაჟამინდელი პოზიციების მითითებით; ყველა სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის ვინაობა, მათი თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი და წარსული სამუშაო გამოცდილება (მათ შორის – ბოლო სამუშაო ადგილი); თბილისის მთავარი სამმართველოს და თბილისის ყველა რაიონული სამმართველოს (ვაკე-საბურ-

თალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, გლდანი-ნაძალადევის, ძველი თბილისის, ისანი-სამგორის სამმართველოების), ასევე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ვინაობა, მათი თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი და წარსული სამუშაო გამოცდილება (მათ შორის – ბოლო სამუშაო ადგილი); ყველა აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფილი ხელმძღვანელის ვინაობა, თანამდებობიდან გათავისუფლების თარიღი და მათი ამჟამინდელი პოზიცია შს სამინისტროს სისტემაში; 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე რამდენმა მოსამსახურემ დატოვა თანამდებობა შინაგან საქმეთა სამინისტროში, მათ შორის: რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა საპატრულო პოლიციის და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან და რა საფუძვლით; რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა გენერალური ინსპექციიდან და რა მოტივით; რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა კონტრტერორისტული ცენტრიდან, ანტიკორუფციული სააგენტოდან, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოდან, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრიდან და რა საფუძვლით; 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე გათავისუფლებული რამდენი მოსამსახურე დაბრუნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და რა პოზიციებზე; 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე რამდენი ახალი მოსამსახურე დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს და სსიპ-ის მითითებით, მათ შორის, რამდენი მოსამსახურის აყვანა მოხდა კონკურსის წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.05.2016წ. გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... (...) სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევა 2015 წლის 13 ივლისის განცხადებებით მოთხოვნილი შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემა: 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დანიშნულნი თანამშრომლების რაოდენობა, მათი ძველი და ამჟამინდელი პოზიციების მითითებით; ყველა სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობის ვინაობა, მათი თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი და წარსული სამუშაო გამოცდილება (მათ შორის – ბოლო სამუშაო ადგილი); თბილისის მთავარი სამმართველოს და თბილისის ყველა რაიონული სამმართველოს (ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, გლდანი-ნაძალადევის, ძველი თბილისის, ისანი-სამგორის სამმართველოების), ასევე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ვინაობა, მათი თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი და წარსული სამუშაო გამოცდილება (მათ შორის – ბოლო სამუშაო ადგილი); ყვე-

ლა აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფილი ხელმძღვანელის ვინაობა, თანამდებობიდან გათავისუფლების თარიღი და მათი ამჟამინდელი პოზიცია შს სამინისტროს სისტემაში; 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე რამდენმა მოსამსახურემ დატოვა თანამდებობა შინაგან საქმეთა სამინისტროში, მათ შორის: რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა საპატრულო პოლიციის და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტიდან და რა საფუძვლით; რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა გენერალური ინსპექციიდან და რა მოტივით; რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა კონტრტერორისტული ცენტრიდან, ანტიკორუფციული სააგენტოდან, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოდან, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრიდან და რა საფუძვლით; 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე გათავისუფლებული რამდენი მოსამსახურე დაბრუნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და რა პოზიციებზე; 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2015 წლის 13 ივლისამდე რამდენი ახალი მოსამსახურე დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს და სსიპ-ის მითითებით, მათ შორის, რამდენი მოსამსახურის აყვანა მოხდა კონკურსის წესით. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.09.2017წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.05.2016წ. გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2017 წ. განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გასაჩივრდა გასაჩივრების 21-დღიანი ვადის დარღვევით, რადგან სააპელაციო პალატის განჩინების ასლი სამინისტროს ჩაბარდა 12.10.2017წ., საკასაციო საჩივარი კი წარდგენილ იქნა 03.11.2017წ., ამასთანავე, საკასაციო საჩივარი ან თანდართული კონვერტი არ შეიცავდა მითითებას საკასაციო საჩივრის უფლება-მოსილ ორგანოში წარდგენის სხვა თარიღის შესახებ.

03.01.2018წ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მომართა საქართველოს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც აღნიშნა, რომ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგან საკასაციო საჩივარი ფოსტას ჩაბარდა 02.11.2017წ. 16 საათსა და 10 წუთზე, რაც დასტურდება საფოსტო გზავნილების №2 რეესტრით.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების სამართლებრივ საფუძველებს, რის შემდეგაც მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე თანდართულია საქართველოს ფოსტის საფელდეგრო სამსახურში გადასაგზავნად ჩაბარებულ კორესპონდენციაზე შსს-ს იურიდიული დეპარტამენტის მიერ შედგენილი 02.11.2017წ. №2 რეესტრი, რომელზეც განთავსებულია შსს-ს იურიდიული დეპარტამენტისა და შპს „S...“ შტამპები, ფოსტის მიერ პაკეტების მიღების თარიღად მითითებულია 02.11.2017წ., ამასთანავე, კორესპონდენციათა ჩამონათვალში მითითებულია პაკეტი – საკასაციო საჩივარი ნომრით ნ/გ, ხოლო აღნიშნული კორესპონდენციის მიმღებად დასახელებულია თბილისის სააპელაციო სასამართლო. საქმეში დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარზე თანდართულ კონვერტზე, მართალია აღნიშნული არ არის ფოსტაში ჩაბარების თარიღი, თუმცა პაკეტის ნომრად მითითებულია ნ/გ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61.3 მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის წარდგენის 21-დღიანი ვადა ეწურებოდა 02.11.2017წ. 24 საათზე. კასატორის მიერ წარმოდგენილი №2 რეესტრით დასტურდება, რომ კორესპონდენცია ფოსტას ჩაბარდა 02.11.2017წ. 16 საათსა და 10 წუთზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი 21-დღიანი ვადის დაცვით არის შემოტანილი, ამასთანავე, საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებული იყო

შპს „ს...“ მიერ დაშვებული ხარვეზის შედეგად, რადგან კონვერტზე არ მიეთითა გზავნილის (საკასაციო საჩივრის) ფოსტაში შეტანის თარიღი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ გამოირკვევა, რომ საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა საფუძვლიანია, მაშინ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას (განჩინებას) სასამართლო გააუქმებს თავისი განჩინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.12.2017წ. განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს საქმის წარმოება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.12.2017წ. №ბს-1120-1114(კ-17) განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდეს წარმოება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-529-526(2კს-17)

24 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიძეილი

დავის საგანი: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.2015წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

კ. კ-ემ 25.06.2014წ. სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა ქ. ქუთაისის მერის 09.06.2014წ. №კ-3702 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ქ. ქუთაისში, ... ქ. №16-ში მდებარე ბინის მოსარჩელისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 09.12.2014წ. გადაწყვეტილებით კ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ უსასყიდლოდ საკუთრებაში ქონების გადაცემისათვის არ არის საკმარისი ქონებით სარგებლობა, ფართი გადაცემული უნდა იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც შესაბამისი დოკუმენტით უნდა იქნეს დადასტურებული. მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად მოსარჩელე არ იქნა მიჩნეული ფართის კანონიერ მოსარგებლედ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა კ. კ-ის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილებით კ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 09.12.2014წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, კ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერის 09.06.2014წ. №კ-3702 წერი-

ლი, ქ. ქუთაისის მერიას დაევალა ქ. ქუთაისში, ... №16-ში მდებარე ბინის ნაწილის – ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდზე რიცხული 58.58 კვ.მ. ფართის კ. კ-ისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რაც ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკასაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სახლი 1938 წლიდან აღრიცხულია მოსარჩელის მამკვიდრებლის სახელზე, ხოლო 1950 წლიდან საცხოვრებელი სახლის ნაწილის – 58.58 კვ.მ. სარდაფის მოსარგებლედ საბინაო სამმართველო აღირიცხა. საბინაო სამმართველოს სახელზე სარგებლობის უფლებით აღრიცხულ ფართს ფაქტობრივად ფლობდნენ მოსარჩელის წინაპრები, რაც დასტურდება საგადასახადო დოკუმენტებით. პალატამ მიიჩნია, რომ წარდგენილი დოკუმენტები ქმნიდა 58.58 კვ.მ. ფართის პრივატიზაციის საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.12.2015წ. განჩინებით ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილება.

მ. 6-მა 11.11.2016წ. განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. მ. 6-მა, აგრეთვე, მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე მიმდინარე სააღსრულებო წარმოების შეჩერება. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 20.02.1985წ. №4/23-148 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული ორდერით მისმა ოჯახმა მიიღო ქ. ქუთაისში, ... ქ. №16-ში სახლის გამოყოფილი ნაწილი – 30.76 კვ.მ. ფართობი. 02.11.2016წ. განცხადებით მიმართა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას სახლის გამოყოფილი ნაწილის პრივატიზებისა და საკუთრების მონაწილის გაცემის თაობაზე. 10.11.2016წ. მიიღო მერის წერილი, რომლითაც უარი ეთქვა საკუთრების მონაწილის გაცემაზე იმ მიზეზით, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.2015წ. გადაწყვეტილებითა და სააღსრულებო ფურცლით მერიას დაევალა აქტის გამოცემა და 58,58 კვ.მ. ფართის მოქ. კ. კ-ისათვის გადაცემა. ამ წერილით განმცხადებლისათვის გახდა ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 15.11.2016წ. განჩინებით მ. ნ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შეჩერდა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილების აღსრულება, ამავე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე მ. ნ-ის 11.11.2016წ. განცხადებასთან დაკავშირებით მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.2017წ. განჩინებით მ. ნ-ის განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში ... ქ. №16-ში მდებარე ბინის – ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდზე რიცხული 30.76 კვ.მ. ფართის კ. კ-ისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ნაწილში და ამ ნაწილში განახლდა საქმის წარმოება, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.11.2016წ. განჩინება ქ. ქუთაისში, ... ქ. №16-ში მდებარე ბინის – ქუთაისის მერიის საბინაო ფონდზე რიცხული 27.82 კვ.მ. ფართის კ. კ-ისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 04.06.2015წ. გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. ნ-მა წარმოადგინა 04.04.1987წ. ბინის ორდერი, რომლითაც დგინდება, რომ იგი ოჯახის წევრებთან ერთად წარმოადგენს ქ. ქუთაისში, ...ს ქ. №16-ში (ყოფილი ... ქ. №80) მდებარე სახლის გამოყოფილი ნაწილის – 30,76 კვ.მ. ფართის კანონიერ მოსარგებლეს, შესაბამისად, მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილება. ამდენად, არსებობდა მისი საქმეში ჩაბმის სამართლებრივი საფუძვლები. მიუხედავად ამისა, კ. კ-ის სარჩელზე წარმოებულ ადმინისტრაციულ დავასთან დაკავშირებით მ. ნ-ის ინფორმირების ფაქტი არ დასტურდება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.2017წ. განჩინება კ. კ-ემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა, ხოლო მ. ნ-მა საკასაციო საჩივრით, რომელიც თავისი შინაარსით, აგრეთვე კერძო საჩივარს წარმოადგენს.

კერძო საჩივრის ავტორმა – კ. კ-ემ აღნიშნა, რომ განჩინება დაუსაბუთებელია. მ. ნ-ის მიერ წარდგენილი ორდერით დასტურდება, რომ მის ოჯახს ფართი გადაეცა დროებით სარგებლობაში და შეუნარჩუნდა რიგის ნომერი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების საერთო სიებში. ამასთანავე, მ. ნ-ს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელითაც დადასტურდებოდა გასული პე-

რიოდის განმავლობაში მისი ოჯახის მიერ სადავო ფართის უწყვეტად ფლობა და სარგებლობა. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ არასაცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ორდერის არსებობა და ამავე მისამართზე რეგისტრაცია არ შეიძლება გამხდარიყო სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგან საქართველოს მთავრობის 20.02.2014წ. №189 დადგენილების მე-2 „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ მოსარგებლედ მიიჩნევა პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი ფართით. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონიერად სარგებლობის ფაქტი არ დასტურდება სათანადო მტკიცებულებებით.

კერძო საჩივრის ავტორმა – მ. ნ-მა აღნიშნა, რომ სადავო სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უფლება წაერთვა სადავო გახადოს ქ. ქუთაისში, ... №16-ში მდებარე ბინის – ქ. ქუთაისის მერიის ფონდზე რიცხული 27.82 კვ.მ ფართის კუთვნილება და ქ. ქუთაისის მერიაში განცხადების წარდგენის გზით მოითხოვოს აღნიშნული ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.2017წ. განჩინება შევა კანონიერ ძალაში, ქ. ქუთაისის მერია ვალდებული იქნება დაინყოს ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით ქ. ქუთაისის მერიის ფონდზე რიცხული 27.82 კვ.მ ფართი, ბინის ორდერის უქონლობის მიუხედავად, უსასყიდლოდ გადასცეს საკუთრებაში კ. კ-ეს. შესაბამისად, მ. ნ-ი ვედარ იდავებს აღნიშნულ ფართზე, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ბინის ორდერი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კ. კ-ისა და მ. ნ-ის კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.2017წ. განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობას. სსკ-ის 421.1 მუხლის

შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების ნანამძღვრები. სსკ-ის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი ან დაკმაყოფილება სსკ-ის 430-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად საჩივრდება კერძო საჩივრით. ამდენად, მ. ნ-ის განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივრები დასაშვებია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. განჩინებით ქ. ქუთაისის მერიას დაევალა ქ. ქუთაისში, ... ქ. №16-ში მდებარე ბინის ნაწილის – ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდზე რიცხული 58.58 კვ.მ. ფართის კ. კ-ეზე უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ აქტის გამოცემა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მამკვიდრებლები 1938 წლიდან კანონიერად ფლობდნენ და სარგებლობდნენ სადავო ფართით და იხდიდნენ გადასახადებს, მიუხედავად საქართველოს მთავრობის 20.02.2014წ. №189 დადგენილებით გათვალისწინებული ფართის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობისა, სახეზე იყო სადავო ფართის ა. კ-ის სახელზე პრივატიზაციის განხორციელების საკმარისი საფუძვლები.

საქმეში დაცული მ. ნ-ის 11.11.2016წ. განცხადებით და მის მიერ წარმოდგენილი ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 20.02.1985წ. გადაწყვეტილებითა და 14.04.1987წ. №012356 ორდერით დასტურდება, რომ სადავო ფართის ნაწილი, კერძოდ 30,76 კვ.მ., საცხოვრებლად გადაეცა მ. ნ-ის მამის – ჯ. ნ-ის ოჯახს, ამასთანავე, მ. ნ-ი დღემდე რეგისტრირებულია ქ. ქუთაისში, ... ქ.№16-ში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ნ-ი არის სადავო სამართალურთიერთობის უშუალო მონაწილე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილება ზემოქმედებას ახდენს მის სამართლებრივ მდგომარეობაზე, მ. ნ-ს თავისი დამოუკიდებელი ინტე-

რესი გააჩნია დავის მიმართ, რამდენადაც იგი ფლობს ბინის ორდერს და რეგისტრირებულია სადავო მისამართზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 20.02.2014წ. №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ 4.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინის ორდერი წარმოადგენს ფართის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ ერთერთ დოკუმენტს. კონკრეტულ შემთხვევაში, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 20.02.1985წ. გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე გაცემული 14.04.1987წ. №012356 ორდერით ცალსახად დასტურდება, განმცხადებლის ოჯახისათვის სადავო ფართის საცხოვრებლად გადაცემა, რაც საკმარისი საფუძველია განმცხადებლის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევისათვის, შესაბამისად არსებობდა მ. ნ-ის სადავო სამართალურთიერთობაში სავალდებულო ჩართვის სამართლებრივი წინაპირობები. კერძო საჩივრის ავტორის მითითება განმცხადებლის ოჯახისათვის ფართის დროებით გამოყოფაზე არ დასტურებს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს, წესი ითვალისწინებს დროებით გაცემული ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის პირობებს, საქმის მასალებით არ დასტურდება საშეღვათო რიგის შენარჩუნების შედეგად სხვა ფართით დაკმაყოფილება. განცხადების განხილვისას სასამართლო იკვლევს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების საფუძველიანობას, ე.ი. სსკ-ის 422-ე მუხლის 1-ელ ნაწილში მითითებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველის არსებობას, მოთხოვნის კანონიერების, სადავო ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების არსებობის დადგენა საქმის არსებითი განხილვის შედეგად ხდება. ამდენად, აღმასკომის გადაწყვეტილება ფართის გამოყოფის შესახებ და მის საფუძველზე გადაცემული ორდერი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საკმარის საფუძველს, საამისოდ საკმარისია განმცხადებლის იურიდიული ინტერესის დადასტურება დავის საგნის მიმართ, საქმის არსებითად განხილვაში მისი სავალდებულო ჩაბმის დადგენა, რაც სავსებით ცხადია მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნის მიმართ განმცხადებლის უფლების არსებობა, კანონიერება წარმოების განახლების შემდეგ საქმის არსებითი განხილვის შედეგად დგინდება. ამდენად, მართებულია გა-

საჩივრებული განჩინებით ქ. ქუთაისში, ... ქ. №16-ში მდებარე ბინის – ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდზე რიცხული 30,76 კვ.მ. ფართის კ. კ-ისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კ. კ-ის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

დაუსაბუთებელია აგრეთვე მ. ნ-ის კერძო საჩივარი, რადგან მას არ წარუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მთავრობის 20.02.2014წ. №189 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, შექმნიდა ქ. ქუთაისში, ... ქ. №16-ში მდებარე ბინის დანარჩენი ნაწილის – ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდზე რიცხული 27.82 კვ.მ. ფართის, მისი ოჯახისათვის მიკუთვნების შესაძლებლობას. საქმეში დაცული საბინაო ორდერი შეეხება მხოლოდ 30,76 კვ.მ. ფართს. შესაბამისად, ბინის დანარჩენი ნაწილის მიმართ მ. ნ-ის კანონიერი ინტერესი არ იკვეთება და აღნიშნულ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. საქართველოს მთავრობის 20.02.2014წ. №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი“ არ ითვალისწინებს უკანონო მოსარგებლისათვის ფართის საკუთრებაში გადაცემას, წესი არეგულირებს მხოლოდ კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ ფართის საკუთრებაში გადაცემას, წესის 4.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს ფართობის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთი დოკუმენტის სახით წარმოდგენილი ორდერი ეხება 30,76 კვ.მ. ფართს. ხსენებული წესის 5.3 მუხლი ითვალისწინებს კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ საცხოვრებელ ან/და არასაცხოვრებელ (იზოლირებულ ან/და არაიზოლირებულ) ფართობთან ერთად კანონიერი მოსარგებლის მიერ დაკავებული მომიჯნავე ფართობის საკუთრებაში გადაცემის თაობაზეც გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, თუ კი მომიჯნავე ფართის გარეშე საცხოვრებელი ან/და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან/და არაიზოლირებული) ფართობით დამოუკიდებლად სარგებლობა შეუძლებელია და იგი არ წარმოადგენს

ცალკე უფლების ობიექტს. აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება, განმცხადებელს რაიმე მტკიცებულება ამ მიმართებით არ წარუდგენია, შესაბამისად არ დასტურდება, რომ კანონიერ ძალაში მყოფ 04.06.2015წ. გადანყვეტილებას შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა განმცხადებლის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებზე განმცხადებლის ავტორის მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ცდება ქუთაისის მერიის საბინაო ფონდზე რიცხული 30,76 კვ.მ. ფართის ფარგლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. კ-ისა და მ. ნ-ის კერძო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.2017წ. განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე, 410-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კ. კ-ისა და მ. ნ-ის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.17წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბ-35-2(ა-18)

12 აპრილი, 2018წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა თ. ქ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.04.2005წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ქ-ემ, ა. წ-მა, გ. გ-მა, ო. გ-ემ, ლ. ა-ემ, ვ. ჯ-მა 25.10.01წ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხეების: საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „...“, სს „...“, სს „...“, სს „...“, ქ. თბილისის მერიის, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართ. სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტების შემდეგ მოსარჩელებმა მოითხოვეს: მოპასუხეებისათვის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 3 მილიონი ლარის დაკისრება, საიდანაც მორალური ზიანის საზღაური 500 000 ლარს შეადგენს; გადაწყვეტილების მიღების დღიდან ყოველდღიურად თითო სულის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის 200-200 ლარის გადახდის დაკისრება; სს „...“ მოსარჩელეთა სახლის საძირკველსა და სარდაფებში წყლის ჩადინების აღკვეთის დავალება, სახლის დანესტიანებისა და დატბორვის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება; სამუშაოთა არაჯერონად შესრულებისათვის 500 000 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს დაწესება, სამუშაოთა შესასრულებლად გონივრული ვადის დაწესება; სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე თანხის 3%-ის გადახდის დაკისრება. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ამორიცხებულ იქნა მოპასუხეთა რიცხვიდან.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამარ-

თლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე სს „...“ დაევალა ქ. თბილისში, ... ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარდაფში სს „...“ მხრიდან მზიდ კედელში შემავალი წყლის დინების აღკვეთა და ამ მზიდი კედლის აღდგენა; მოპასუხეებს თბილისის მერიას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სს „...“ სოლიდარულად დაეკისრათ ა. წ-ის და თ. ქ-ის სასარგებლოდ ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ თითოეულისათვის 5000 ლარის გადახდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. ქ-ემ, ი. ჯ-მა, ლ. ა-ემ, ო. გ-ემ, ა. წ-მა, ქ. თბილისის მერიამ და სს „...“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.04.2005წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის და სს „...“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ა. წ-ის, თ. ქ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ი. ჯ-ის, ლ. ა-ის. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 12.03.04წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ ა. წ-ის და თ. ქ-ის სასარგებლოდ ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული მორალური ზიანის საკომპენსაციოდ თითოეულისათვის 5000 ლარის გადახდა და ყოველთვიურ ანაზღაურებაზე უარი შეიცვალა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ამ ნაწილში ა. წ-ის და თ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ქ. თბილისის მერიას, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სს „...“ სოლიდარულად დაეკისრათ ა. წ-ის და თ. ქ-ის სასარგებლოდ ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თითოეულისათვის 7000 (შვიდი ათასი) ლარის გადახდა; სს „...“ ყოველთვიურად კომპენსაციის სახით დაეკისრა ა. წ-ის სასარგებლოდ 50 ლარის, ხოლო თ. ქ-ის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა გადაწყვეტილების მიღებიდან; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დატოვებულ იქნა უცვლელად.

საკასაციო სასამართლო 10.01.2018წ. განცხადებით მომართა თ. ქ-ემ, რომელმაც საქმის წარმოების განახლება მოითხოვა იმ მოტივით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ლ. ა-ისა და ო. გ-ის საჩივარი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ და მათ სასარგებლოდ დააკისრა მოპასუხეს 4500 ევ-

როს გადახდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ მომჩივანთა მიმართ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეორე მუხლი, რაც იმაში გამოიხატა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა მომჩივანები მათი საცხოვრებელი სახლის სიახლოვეს მდებარე თბოელექტროსადგურის მუშაობით გამოწვეული ჰაერის დაბინძურებისგან. სასამართლომ დადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის გამო მომჩივანებმა განიცადეს სტრესი და იმედგაცრუება. განმცხადებელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ იგი მომჩივანებთან შედარებით, უფრო ახლოს ცხოვრობს თეცთან, ამიტომ მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ოდენობა აღემატება მომჩივანთათვის მიყენებულ ზიანს, ამდენად უნდა აუნაზღაურდეს 7000 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. განმცხადებლის მოსაზრებით, სსკ-ის 423-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, არსებობს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

საკასაციო პალატის 09.02.2018წ. განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ თ. ქ-ის განცხადება ხარვეზის შევსების შედეგად მიღებულ იქნა წარმოებაში.

28.02.2018წ. საქმეზე დართვის მიზნით თ. ქ-ემ საკასაციო პალატაში წარმოადგინა 05.01.2018წ. შეთანხმება იურიდიული მომსახურების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ქ-ის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი აწესრიგებს საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს, კერძოდ, სსკ 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძველით, არამედ მხოლოდ სსკ 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. აღნიშნული გა-

რემოებების და შეჯიბრებითობის პრინციპიდან (სსსკ მე-4 მუხ.) გამომდინარე, სათანადო მტკიცებულებების წარდგენა განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ არსებობს სსსკ-ის 423.1 მუხლის „ზ“ ქვეუბნით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 13.07.2017წ. გადაწყვეტილებით დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მოპასუხე საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა მომჩივანთა მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურება – თითოეულისთვის 4500 ევროს ოდენობით და განუული ხარჯების გადახდა – თითოეულისთვის 3848 ევროს ოდენობით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი წარდგენილი იქნა ი. ჯ-ის, ო. გ-ისა და ლ. ა-ის მიერ, რაც შეეხება თ. ქ-ესა და ა. ნ-ს, მათ ევროპული სასამართლოსათვის თავისი უფლებების დასაცავად არ მიუმართავთ. შესაბამისად, სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ო. გ-ისა და ლ. ა-ის საკითხზე (ი. ჯ-ი ამორიცხულ იქნა მომჩივანთა რიგიდან, მისი გარდაცვალების და მემკვიდრეების მიერ საქმეში ჩართვაზე უარის თქმის გამო). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლო ორგანო (კონვენციის მე-19 მუხ.), რომელიც განიხილავს კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საჩივრებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიმართ (კონვენციის 34-ე მუხ.), ან სახელმწიფოთაშორის საქმეებს (კონვენციის 33-ე მუხ.), რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს (კონვენციის 32.1 მუხ.). ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც სასამართლო ორგანო განიხილავს კონკრეტულ დავას და ამ დავის ფარგლებში აფასებს სამართლებრივ საკითხებს, სასამართლოს განმარტება კაზუალურია და უშუალო მოქმედების ძალა აქვს მხოლოდ დავის მხარეების – მომჩივანისა და მოპასუხის მიმართ. სასამართლო უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კონკრეტული კონტროლი, სასამართლო განხილვის მიზანია კონვენციის ნორმების დარღვევის შემთხვევაში კონკრეტული პირის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა. განსახილველ შემთხვევაში, ევროპულ სასამართლოს არ უმსჯელია თ. ქ-ის მოთხოვნებზე, რადგან თ. ქ-ეს არ წარუდგენია საჩივარი მის მიმართ კონვენციის ნორმების დარღვევის შესახებ. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 13.07.2017წ. გადაწყვეტილება (№38342/05) არ წარმოადგენს თ. ქ-ის მიმართ ეროვნულ დონეზე დასრულებული

სასამართლო წარმოების განახლების საფუძველს.

ამასთანავე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, თ. ქ-ეს უნდა დაუბრუნდეს განცხადებაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.04.2005წ. №ბს-586-507-კ-04 გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველები, რაც სსკ-ის 430.2 მუხლის თანახმად, თ. ქ-ის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს ქმნის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 34² მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. თ. ქ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 21.04.2005წ. გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. თ. ქ-ეს (პ.ნ....) დაუბრუნდეს განცხადებაზე 01.02.2018წ. №4 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 ლარი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების საფუძველი

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-357-357(კს-18)

5 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადან-
ყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 6 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მი-
მართა ე. კ-მა, მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-
ცემა მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2008 წლის 9 დეკემბრის საოქმო განჩინებით საქარ-
თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახ-
მად, ქ. თბილისის მერია შეიცვალა სათანადო მოპასუხით – ფიზი-
კური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში
(სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლე-
ბის აღიარების კომისიით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 დეკემბრის გა-
დანყვეტილებით ე. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
მოპასუხე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების
მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე სა-
კუთრების უფლების აღიარების კომისიას დაევალა საქმისათვის
მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების
შემდეგ, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარ-
გლებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტის გამოცემა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 დეკემბრის გადანყვეტი-
ლება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სა-
მართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში)
არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კო-

მისიამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ე. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 03 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ე. კ-მა და მოითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მის მიერ მოპოვებული იქნა ახალი დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც უნდა გადაისინჯოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურიდან მიღებული 2015 წლის 20 ოქტომბრის №07/12516-13 ნერილით ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: ...) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით ვრცელდება ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონა, სარეკრეაციო ზონა 2, მცირედით ზოგადი საცხოვრებელი ზონა თუმცა მისი სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) პარამეტრებით და სატრანსპორტო ზონა 1. ამავე ნერილ-

ზე დართულ ფუნქციურ რუკაზე ნათლად ჩანს, მიწის ნაკვეთი მდებარეობს არა ლანდშაფტურ სარეკრეაციო, არამედ საცხოვრებელ ზონაში და მის ირგვლივ განთავსებულია სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები. ასევე მიღებულ იქნა საჯარო რეესტრის ამონაწერი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოს განკარგულება, რომლის მიხედვითაც ზემოთ ხსენებული საკადასტრო ერთეულიდან სისტემატურად ხდება სხვადასხვა ზომის მიწის ნაკვეთების გამოყოფა-გასხვისება გენგემაში ცვლილებების შეტანაზე არაუფლებამოსილი პირების მიერ, რითაც მისი საზღვრები ისე შეიცვალა, რომ მიწის ნაკვეთი არ ექცევა სარეკრეაციო ზონაში. თბილისის არქიტექტურის 2017 წლის 23 თებერვლის №17/12200-13 წერილით კი დადგენილია, რომ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ მხოლოდ 2016 წლის 21 ივლისს დაამტკიცა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული რაიონის – აეროდრომის რაიონის სქემა, რომელშიც განთავსებული ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების მფლობელები ვალდებული არიან მათი გამოყენების პირობებში შეათანხმონ შპს „...“. შპს „...“ მიღებული 2017 წლის 14 ივნისის № ... წერილით დადგენილია, რომ მიწის ნაკვეთზე (კოორდინატების გათვალისწინებით) დასაშვებია საშუალო ზღვის დონიდან 629 მეტრი აბსოლუტური სიმაღლის შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლის ნიშნულის გადაჭარბების შემთხვევაშიც წარმოიშობა შპს ... შეთანხმების ვალდებულება. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის №376 დადგენილების „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთი განმარტებულია – სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ანდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (აშენებული, მშენებარე ან განგრეული) ან მის გარეშე, ესე იგი მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების დასადასტურებლად სულაც არ არის სავალდებულო მასზე შენობა – ნაგებობის არსებობა. ამდენად წარმოდგენილი დოკუმენტებით, ცალსახად დგინდება, რომ ის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებსაც 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, აღარ არსებობს და შესაბამისად, სახეზეა ახლად აღმო-

ჩენილი გარემოებები, რომლებიც ინვევენ ამ გადაწყვეტილების გადასინჯვის აუცილებლობას და სარჩელის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ე. კ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ადმინისტრაციულ საქმეზე №3პ/148-10 კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას ითხოვდა გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ მოპოვებული მტკიცებულებებისა და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, განცხადებაში აღნიშნული გარემოებები არ წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებებს, რომელიც შესაძლებელია გახდეს საქმის წარმოების განახლებისა და შესაბამისად, მხარისათვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 14 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. კ-მა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ განჩინების გამოტანისას სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი, რაც განჩინების გაუქმების იმპერატიული და აბსოლუტური საფუძველია, ვინაიდან მოხდა იმ კანონის გამოყენება, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ განჩინებაში მითითებულია შეჯიბრებითობის პრინციპის მისი მხრიდან დარღვევაზე, მაშინ როდესაც ის არის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირი და არ გააჩნია იურიდიული განათლება, ხოლო მისი განცხადება სახაზინო ადვოკატის დანიშვნის თაობაზე სრულიად უკანონოდ და დაუსაბუთებლად არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულმა კი გამოიწვია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სასამართლო განხილვის დროს მოწინააღმდეგე მხარემ ყოველგვარი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე, ზეპირად განაცხადა სადავო ტერიტორიის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში მოქცევისა და მასზე ასაფრენი შეზღუდვის არსებობის შესახებ. კასატორი მიუთითებს, რომ იურიდიული განათლების არქონის გამო, აგრეთვე ადმინისტრაციული საქმის განმხილველი მოსამართლის მხრიდან სა-

თანადო განმარტების არარსებობის გათვალისწინებით, მათ შორის სასამართლოს ინიციატივის უფლებამოსილების მიუხედავად, მონინალმდეგე მხარის ზეპირი განცხადება შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე დაედო საფუძვლად მოთხოვნის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანას, რითაც არსებითად დაირღვა და შეიზღუდა კერძო საჩივრის ავტორის კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ე. კ-ის კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი არსებობს, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. 423-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მითითებული საფუძველით დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

ამდენად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-265-ე მუხლების შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას ახალი გარემოებების წარმოშობის პირობებში. ამასთან, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს არა ყოველი ახალი გარემოების ან მტკიცებულების შეტყობის პირობებში საქმის ხელახლა გადასინჯვის შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძვლად დასრულებული საქმის წარმოების განახლებას, რომლებიც მხარისათვის მისი ბრალის გარეშე არ იყო ცნობილი საქმის წარმოების პროცესში და ამასთან, აღნიშნული გარემოებები ან მტკიცებულებები ხელსაყრელი გადანაცვეტილების დადგენას გამოიწვევდა.

განცხადების ავტორი საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიუთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ მოპოვებული მტკიცებულებებისა და კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე, ასევე მიუთითებს როგორც სოციალურად დაუცველისათვის და იურიდიული განათლების არმქონე პირისათვის, ადვოკატის მომსახურების არარსებობის პირობებში უფლების დაცვის განხორციელების შეუძლებლობაზე, რის გამოც ადგება ზიანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმის წარმოების განახლების პირობას წარმოადგენს ფაქტის სიახლე, ამასთანავე საუბარია არა უბრალოდ ახალ, არამედ ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე, ე.ი. ისეთი იურიდიული მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, რომელიც საქმის განხილვის დროს არსებობდა, მაგრამ არ იყო ცნობილი და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისა და სასამართლოსათვის, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებასა და მტკიცებულებაზე. აღნიშნული გარემოებები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადების დასაშვებობის აუცილებელ პირობას.

საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და აღნიშნავს, რომ ე. კ-ის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ არსებობდა 23.02.2010 წლის გადანაცვეტილების გამოტანის დროს, აღნიშნული მტკიცებულებები და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები კი შესაძლოა გახდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოსთვის თავიდან მიმართვისა და ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების დაწყე-

ბის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების, განცხადების დასაშვებობის პირობები, არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს კერძო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების კანონშეუსაბამობა, რის გამოც არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების შესაბამისად მისი გაუქმების საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით ე. კ-ს მართებულად ეთქვა უარი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ე. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლების თაობაზე განცხადების
განმეორებით განხილვის დაუშვებლობა**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-418-415(კს-17)

13 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ნ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ქუთაისის მიწის მართვის სამმართველოს დაევალა ქ. ქუთაისში, ... №50ა-ში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და ქ. ქუთაისში, ... №9-ში მდებარე 3003 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. ნ-ლის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია და სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა. ამავე გადაწყვეტილებით შპს „...“ დირექტორის სარჩელს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება ა. ნ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ნ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი ქ. ქუთაისში, ... №50ა-ში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ... №9-ში მდებარე 3003 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. ნ-ლის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ არ დაკმაყოფილდა; ხოლო დანარჩენ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და

სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის განჩინებით ა. წ-ლისა და შპს „...“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მთავრობისა და შპს „...“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება; ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ა. წ-ლის სახელზე გაეტარებინა რეგისტრაციაში ქ. ქუთაისში, ... №9-ში მდებარე მუნიციპალურ საწარმო „...“ დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ფართით 1146,10 კვ.მ და ქ. ქუთაისში, ... №50ა-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი – 1752,90 კვ.მ, ხოლო დანარჩენი ფართის რეგისტრაციაზე მას უარი ეთქვა უსაფუძვლოების გამო; შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ქ. ქუთაისში, ... №48ა-ში მდებარე შენობის ქვეშ არსებული 104,92 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში გატარება, ხოლო მისასვლელი გზის სერვიტუტით დატვირთვაზე შპს „...“ უარი ეთქვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ა. წ-ლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

ა. წ-მა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელზედაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით (საქმე №3/ბ-520-16) ა. წ-ლის განცხადება დარჩა განუხილველი.

2016 წლის 10 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ა. წ-მა, რომელმაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვე-

პუნქტების საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება მოითხოვა. განმცხადებლის მითითებით, მისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, კერძოდ, 2000 წლიდან 16 წლის განმავლობაში აღკვეთილი ჰქონდა გასცნობოდა საჯარო რეესტრში დაცულ მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, რომელიც მხოლოდ 2016 წლის 11 სექტემბერს გახდა მისთვის ხელმისაწვდომი. ქუთაისის მერიისა და საჯარო რეესტრის მიერ განზრახ არ გაიცემოდა აღნიშნული მტკიცებულებები. ამასთან, განმცხადებლის მტკიცებით, ყალბია საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებები, რაც საქმის ხელახლა განხილვის საფუძველს წარმოშობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით (№ბ-1238-7(ა-16)) ა. წ-ლის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ა. წ-ლის განცხადება, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. წ-ლის სარჩელით დაწყებული საქმის წარმოება დასრულდა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ერთხელ უკვე მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელზედაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით (საქმე №3/ბ-520-16) ა. წ-ლის განცხადება დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით

ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ იმავე ან სხვა სასამართლოს წარმობაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ნ-ლის განცხადება, როგორც დაუშვებელი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ნ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და განცხადება, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, დასაშვებობის სხვა კრიტერიუმების შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე მურთაზ მეშველიანს არ ჰქონდა უფლება მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში, ვინაიდან იგი 2005 წლის 21 ივლისის სასამართლო შემადგენლობაში ხათუნა ხომერიკსა და ფრიდონ ბასილაიასთან ერთად მონაწილეობდა, რაც მისი, როგორც მოსამართლის საქმეში მონაწილეობის მიღების გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა.

კასატორის მოსაზრებით, 2016 წლის 18 ნოემბერს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება ა. ნ-ლის განცხადების საფუძველზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განუხილველად დატოვების თაობაზე, საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევით მოხდა. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს დავის საგანზე საერთოდ არ უმსჯელია, არ დაუდგენია და არც მიუთითებია იმ ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებზე, რომელთა გამოც სასამართლომ განცხადების განუხილველად დატოვება მიიჩნია მიზანშეწონილად.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებად განცხადებაში მითითებულია მთელ რიგ ფაქტებზე. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკი-

ცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და მან არ იცოდა აღნიშნული ფაქტის თაობაზე. ამასთან, მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებსზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 მაისის განჩინებით ა. წ-ლის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერებადასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. წ-ლის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქმის მასალების მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ქუთაისის მიწის მართვის სამმართველოს დაევალა ქ. ქუთაისში, ... №50ა-ში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და ქ. ქუთაისში, ... №9-ში მდებარე 3003 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. წ-ლის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია და სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა. ამავე გადაწყვეტილებით შპს „...“ დირექტორის სარჩელს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. წ-ლის წარმომადგენლის –

ქ. კ-ის სარჩელი ქ. ქუთაისში, ... №50ა-ში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ... №9-ში მდებარე 3003 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. წ-ლის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შესახებ არ დაკმაყოფილდა; ხოლო დანარჩენ ნაწილში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 თებერვლის განჩინებით ა. წ-ლისა და შპს „...“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ქუთაისის მთავრობისა და შპს „...“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება; ა. წ-ლის წარმომადგენლის – ქ. კ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ა. წ-ლის სახელზე გაეტარებინა რეგისტრაციაში ქ. ქუთაისში, ... №9-ში მდებარე მუნიციპალურ სანარმო „...“ დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ფართით 1146,10 კვ.მ და ქ. ქუთაისში, ... №50ა-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი – 1752,90 კვ.მ, ხოლო დანარჩენი ფართის რეგისტრაციაზე მას უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო; შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა ქ. ქუთაისში, ... №48ა-ში მდებარე შენობის ქვეშ არსებული 104,92 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით რეგისტრაციაში გატარება, ხოლო მისასვლელი გზის სერვიტუტით დატვირთვაზე შპს „...“ უარი ეთქვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მაისის განჩინებით ა. წ-ლის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

ა. წ-მა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის

სააპელაციო სასამართლოს, რომელზედაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით (საქმე №3/ბ-520-16) ა. წ-ლის განცხადება დარჩა განუხილველი, იმ საფუძვლით, რომ გასული იყო განცხადების შეტანის 5-წლიანი ვადა.

2016 წლის 10 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ა. წ-მა, რომელმაც ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმავე საფუძვლით მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ა. წ-ლის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ა. წ-ლის განცხადება, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2005 წლის 21 ივლისის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, დარჩა განუხილველი, იმ საფუძვლით, რომ ა. წ-მა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ერთხელ უკვე მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომელზედაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ა. წ-ლის განცხადება დარჩა განუხილველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინებით, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მართებულად დარჩა განუხილველად ა. წ-ლის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამძღვრები. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების საფუძველია ისეთი გარემოებები და მტკი-

ცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სასამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სასამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ა. წ-ლის განცხადებაზე საქმის წარმოების განახლების შესახებ ერთხელ უკვე იმსჯელა სასამართლომ, შესაბამისად, იმავე საფუძვლებით წარ-

მოდგენილი განცხადება უნდა დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საკასაციო სასამართლო ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლე მურთაზ მეშველიანს არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, ვინაიდან იგი 2005 წლის 21 ივლისს სასამართლო შემადგენლობაში ხათუნა ხომერიკსა და ფრიდონ ბასილაიასთან ერთად მონაწილეობდა, რაც მისი, როგორც მოსამართლის, საქმეში მონაწილეობის მიღების გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოსამართლე მურთაზ მეშველიანმა 2005 წლის 21 ივლისს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მიიღო მონაწილეობა საქმის განხილვაში, იმავე ინსტანციის სასამართლოში არ არსებობდა მისი, როგორც მოსამართლის აცილების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. წ-ლის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა. წ-ლის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობის
საფუძვლით ადმინისტრაციული ორგანოსთვის
განმეორებით მიმართვის შესაძლებლობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-807-799(კს-15)

28 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 8 ივლისს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – ქ. თბილისის მთავრობის, დ. მ-ისა და ნ. ჩ-ის მიმართ.

მოსარჩელემ ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.12.198 დადგენილების, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2003 წლის 3 სექტემბრის აუქციონის შედეგების №1 ოქმის, 2003 წლის 18 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებისა და 2003 წლის 12 სექტემბრის №23/72-ა საკუთრების მონმობის თანმდევი შედეგებით ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ქ. თბილისის მთავრობა შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით ქ. თბილისის მერი-ით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 მარტის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „შ...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 15 ივლისის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „ნ...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №33/1996-09 გადაწყვეტილებით აპელანტ – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.12.198 დადგენილება, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2003 წლის 3 სექტემბრის აუქციონის შედეგების №1 ოქმი, 2003 წლის 18 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება და 2003 წლის 12 სექტემბრის №23/72-ა საკუთრების მონაპოვით მისი თანამდევნი შედეგებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინება საკასაციო წესით

გაასაჩივრეს ნ. ჩ-მა, შპს „ნ...“ და დ. მ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინებით დ. მ-ის, ნ. ჩ-ისა და შპს „ნ...“ საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება.

2015 წლის 22 ივნისს ნ. ჩ-მა და დ. მ-ემ განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

განმცხადებლებმა განცხადების დასაშვებობის წინაპირობად მიუთითეს: ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილება; ბ) საქმის წარმოების განახლების საფუძველი – მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას (კერძოდ, 2015 წლის 22 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მათ მიიღეს 2011 წლის 14 სექტემბრის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ცვლის სადავო ურთიერთობის ვითარებას, რადგან დადგენილებაში მითითებულია, რომ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულია – ბიუჯეტში გადახდილია 75000 ლარი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 აპრილის №146 ბრძანებულების საფუძველზე ქონების ღირებულებად განისაზღვრა. ხოლო სისხლის სამართლის საქმის წარმოება ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მაშინდელი უფროსის ვ. ჩ-ის მიმართ, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაული ვლინდებოდა არასწორად ჩატარებული აუქციონით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალით, შეწყდა ხანდაზმულობის გამო); გ) ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობის შესახებ განმცხადებელმა შეიტყო 2015 წლის 22 მაისს (განცხადებაზე დართულია საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 22 მაისის გზავნილი ნ. ჩ-ისთვის 2011 წლის 14 სექტემბრის დადგენილების გაგზავნის თაობაზე), როცა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გაიცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უა-

რის თქმის შესახებ დადგენილება, შესაბამისად ახალი გარემოებების გამოვლენიდან განცხადების სასამართლოში წარდგენის 1 თვიანი ვადა დაცულია; დ) განცხადება შეტანილია გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში და დაცულია განსჯადობის წესი; ე) განცხადებით მოთხოვნილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება, რის შედეგად მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

განმცხადებელთა მითითებით, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსის მ. ჩ-ის 2003 წლის 18 ივლისის №1-4/51 ბრძანებით ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ... ქ. №18-ში მდებარე შპს „უ...“ 100% წილის პრივატიზების ფორმად განისაზღვრა ნულოვანი აუქციონი, საწყის ფასად განისაზღვრა 7857 აშშ დოლარი, ბიჯის სიდიდე კი – 5%. 2003 წლის 3 სექტემბრის აუქციონზე მონაწილეობა მიიღეს დ. მ-ემ და ნ. ჩ-მა და გამოცხადდნენ აუქციონზე გამარჯვებულად. აუქციონის ოქმის საფუძველზე 2003 წლის 18 სექტემბერს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ დ. მ-ესთან და ნ. ჩ-თან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი, 2003 წლის 23 სექტემბერს კი გაიცა საკუთრების მოწმობა შპს „უ...“ 100%-იან წილზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ ქონებას: 23370 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული ექვსი შენობა-ნაგებობა და რკინიგზის ჩიხი. განმცხადებელთა მითითებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითა საქართველოს კონტროლის პალატის 2005 წლის 27 ივნისის №137/47 აქტზე, რომლის თანახმადაც, დასახელებული ქონების გაყიდვა ნულოვან აუქციონზე არ შეიძლებოდა, ვინაიდან საპრივატიზებო ობიექტი არ წარმოადგენდა ამორტიზებულ სახელმწიფო ქონებას – ბალანსმფლობელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ქონების ფაქტიური ცვეთა არ აღემატებოდა 55%-ს. გადაწყვეტილებაში გაკეთებულია დასკვნა, რომ ნაცვლად საწყისი ღირებულებისა – 160706 ლარისა, ქონება გაიყიდა 25194 ლარად, რითაც არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი.

განმცხადებლები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ სანამ გადაწყდებოდა ქონების ნულოვან აუქციონზე გაყიდვის საკითხი, მანამ საწყისი ფასი – 160706 ლარი (78563 აშშ დოლარი იმდროინდელი კურსით, ასეა მითითებული გადაწყვეტილებაში) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 აპრილის №146 ბრძანებულების საფუძველზე, აუქციონზე განაცხადების შეუსვლელობის გამო, კანონიერად შემცირდა და ქონების ღირებულება განი-

საზღვრა 32339 აშშ დოლარით. ამდენად, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის დარღვევის ფარგლები უნდა განისაზღვროს ობიექტში რეალურად გადახდილ თანხასა და უკვე შემცირებულ საპრივატიზებო ღირებულებას შორის სხვაობით და ამ დროს არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ობიექტის სანყისი საპრივატიზებო ღირებულება.

2015 წლის 22 მაისს განმცხადებლებმა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიიღეს 2011 წლის 14 სექტემბრის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მაშინდელი უფროსის ვ. ჩ-ის ქმედებაში სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობა, თუმცა გასულია პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა. დადგენილებაში ასევე აღნიშნულია, რომ არასწორად ჩატარებული აუქციონით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებულია. განმცხადებელთა განმარტებით, პროკურატურის მოთხოვნით გადახდილი თანხის დანიშნულება მათთვის უცნობი იყო. იმ დროს არსებული არასწორი პრაქტიკის გამო ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოხდა ბიუჯეტში გადახდილი თანხის „შენერება“ თავისუფლების სანაცვლოდ. დადგენილების მოთხოვნა კი მათ ვერც კი გაბედას. მხოლოდ ახლა, რამდენიმეთვიანი ძებნის შედეგად, შესაძლებელი გახდა საქმეზე მიღებული დადგენილების გამოთხოვა. დადგენილებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულია – ბიუჯეტში გადახდილი იქნა 75 000 ლარი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 აპრილის №146 ბრძანებულების საფუძველზე ქონების ღირებულებად განსაზღვრული 32339 აშშ დოლარი. ბუნებრივია, ეს გარემოება სააპელაციო სასამართლოსათვის ცნობილი რომ ყოფილიყო, გამოტანილი იქნებოდა საპირისპირო შინაარსის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ნ. ჩ-ისა და დ. მ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებ-

ბია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გადანყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადანყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი LII კანონით დადგენილი განსაკუთრებული პირობების არსებობის შემთხვევაში ადგენს არსებითად განხილული და გადანყვეტილი დავების კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობებს. ასეთი საპროცესო უფლების რეალიზაციისთვის დადგენილია განცხადების განხილვის სპეციალური წესები. აღნიშნული წესების დაჯგუფება ხდება განცხადებაზე სამართალწარმოების განხორციელების ორეტაპიანი სტადიით, კერძოდ, ასეთ სტადიებს წარმოადგენს – განცხადების წარმოებაში მიღების საპროცესო მოვლენა, იგივე განცხადების დასაშვებობა და განცხადების მოთხოვნის საფუძვლიანობა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 სექტემბრის განჩინებით ნ. ჩ-ის და დ. მ-ის განცხადება წარმოებაში იქნა მიღებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ამომწმებს განცხადების მოთხოვნის საფუძვლიანობას, მიუთითებს იმ დანაწესებზე, რომელიც სავალდებულო პირობას ქმნის განცხადების საფუძვლიანობის დადასტურებისთვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადანყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადანყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადანყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებას, რომე-

ლიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“-„ვ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლები – ნ. ჩ-ი და დ. მ-ე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლად უთითებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, კერძოდ, როგორც აღნიშნავენ, 2015 წლის 22 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მათ მიიღეს 2011 წლის 14 სექტემბრის დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც ცვლის სადავო ურთიერთობის ვითარებას, რადგან დადგენილებაში მითითებულია, რომ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულია – ბიუჯეტში გადახდილია 75000 ლარი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 აპრილის №146 ბრძანებულების საფუძველზე ქონების ღირებულებად განისაზღვრა. ხოლო სისხლის სამართლის საქმის წარმოება ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს მაშინდელი უფროსის ვ. ჩ-ის მიმართ, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაული ვლინდებოდა არასწორად ჩატარებული აუქციონით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალით, შეწყდა ხანდაზმულობის გამო. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №33/1996-09 გადაწყვეტილება დაეყრდნო საქართველოს კონტროლის პალატის 2005 წლის 27 ივნისის №137/47 აქტს, რის თანახმადაც ობიექტის პრივატიზება ნულოვანი ფასის აუქციონის ფორმით ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებაში მითითებული

ნორმატიული აქტების საფუძველზე არ შეიძლება ვინაიდან საპრივატიზებო ობიექტი არ წარმოადგენდა ამორტიზებულ სახელმწიფო ქონებას, რაც დასტურდება ბალანსის მფლობელის მიერ წარმოდგენილი საპრივატიზებო დოკუმენტაციით, რომლის მიხედვით ქონების ფაქტიური ცვეთა არ აღემატებოდა 55%-ს, ამასთან, საპრივატიზებო ობიექტს წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბაზის 100% წილი და არა სანესდებო კაპიტალიდან ამოღებული ქონება. შესაბამისად, სააპელაციო პალატისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო ზემოთ დასახელებული გარემოებების შესახებ, სასამართლო მიიღებდა სხვაგვარ გადაწყვეტილებას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ მასალებზე და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელით, მოპასუხეების – ქალაქ თბილისის მთავრობის, დ. მ-ისა და ნ. ჩ-ის მიმართ, სადავო იყო ქალაქ თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.12.198 დადგენილების, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2003 წლის 3 სექტემბრის აუქციონის შედეგების №1 ოქმის, 2003 წლის 18 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების, 2003 წლის 12 სექტემბრის №23/72-ა საკუთრების მონმობის თანამდევი შედეგებით კანონიერების საკითხი. კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილებით აპელანტის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მთავრობის 2003 წლის 10 ივლისის №09.12.198 დადგენილება, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2003 წლის 3 სექტემბრის აუქციონის შედეგების №1 ოქმი, 2003 წლის 18 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება და 2003 წლის 12 სექტემბრის №23/72-ა საკუთრების მონმობა მისი თანამდევი შედეგებით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადების განხილვის ეტაპისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და გადაწყვეტილე-

ბაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილად მიიჩნევა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა განმცხადებლის მიერ მისთვის ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნეულ ფაქტზე და დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მთავარი პროკურატურის 2011 წლის 14 სექტემბრის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების თანახმად, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულია – ბიუჯეტში გადახდილია 75000 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აუცილებელია განიმარტოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ პუნქტის რაობა, კერძოდ, სიცხადისათვის ნორმა აწესებს ერთადერთ პირობას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისათვის მხარისათვის ისეთი გარემოებების და მტკიცებულებების აღმოჩენა, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც ნიშნავს, რომ მხარე რომლის ინტერესია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვა ასევე საკუთარი ინტერესის სასარგებლოდ, უნდა დაეყრდნოს მისთვის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ ისეთ აღმოჩენებს, რომლებიც არსებითად შეცვლის დავის საგნის განხილვისას მტკიცებულებათა შეფასებების შესაბამის დასკვნებს და საბოლოო მართლმსაჯულების შედეგს განმცხადებლის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საპროცესო სუბიექტის ინტერესების საწინააღმდეგოდ სამართალწარმოებით გადაწყვეტილი დავისთვის სამართალწარმოების შებრუნების აღმოჩენებს – დაინტერესებული საპროცესო სუბიექტისთვის როგორც ახლად გამოვლენილი გარემოებების ხასიათი ენიჭებათ იმ პირობით, რომ კონკრეტული გარემოებები მართლმსაჯულების საბოლოოდ დასრულებამდე არსებობდნენ ან წარმოიშვნენ (არსებობის და წარმოშობის დრო ემთხვევა მართლმსაჯულების პროცესს მის დასრულებამდე) და ასეთი გარემოებების შესახებ არამართო არ იყო ცნობილი, ამავე დროს ვერ იქნებოდა გაცხადებული დაინტერესებული საპროცესო სუბიექტისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ იქნება მოაზრებული ახლად აღმოჩენილად და გამოვლენილად.

განმცხადებლების ნ. ჩ-ის და დ. მ-ის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მითითებულ 2011 წლის 14 სექტემბრის №0000981127 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ჩ-ს

არ ჰქონდა შპს „უ...“ ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისების განზრახვა, საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება მისი დანაშაულებრივი კავშირი თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროს ვ. ჩ-ესთან (2008 წლის 28 ივლისს დევნა შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო), რომლის კანონსაწინააღმდეგო ქმედებითაც განხორციელდა ნულოვანი აუქციონის ჩატარება, ამასთან, ნ. ჩ-მა 2011 წლის 17 ივნისს სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად გადაიხადა მის მიერ აუქციონის წესით შეძენილი 11 727 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალური საბაზრო ღირებულება 75 000 ლარი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 29 ნოემბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინებით დ. მ-ის, ნ. ჩ-ისა და შპს „ნ...“ საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული გარემოებები ადასტურებს იმას, რომ მოცემულ დავაზე მართლმსაჯულების დასრულება (2010 წლის 29 ნოემბერი) და №0000981127 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება (2011 წლის 14 სექტემბერი) დროში აცდენილია, ანუ უკანასკნელი მოვლენა დადგა პირველის დასრულების შემდგომ, ამასთან საყურადღებოა, რომ ნ. ჩ-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მის მიერ აუქციონის წესით შეძენილი 11 727 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალური საბაზრო ღირებულების 75 000 ლარის გადახდა დადგენილების თანახმად ასევე მოხდა მართლმსაჯულების დასრულების შემდეგ – 2011 წლის 17 ივნისს, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3ბ/1996-09 გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ წარმოშობილი მოვლენები აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობისათვის, როგორც ახლად აღმოჩენილი, ნაკლიანია დროში აცდენის გამო.

სიცხადისთვის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ თუნდაც შემთხვევა მართლმსაჯულების პროცესისა და ახლად გამოვლენილი გარემოების არსებობის თუ წარმოშობის დროში თანხვედრისა შეიძლება ვერ გახდეს უკვე დასრულებული მართლმსაჯულების ხელახლა გადასინჯვის პრინციპული საფუძველი, რადგან ასეთი გამოვლენილი გარემოებები, რეალურად უნდა ქმნიდეს სა-

დავო ურთიერთობის დარეგულირების განსხვავებულ შედეგს და ინტერესებული პირის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებშიც კი, როცა ნ. ჩ-მა დაფარა აუდიტის დასკვნის თანახმად სყიდვის ღირებულების უკანონოდ შემცირებულად აღიარებული ფასი, და ამ უკანასკნელს სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში შეფასების შედეგად დაეყრდნო სასამართლოს გადაწყვეტილება, უკვე კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ვერ გარდაიქმნებიან კანონშესაბამისებად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსის, ბუნების, სიცოცხლისუნარიანობისათვის დადგენილი პირობების თანახმად. კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეული გარიგების მხარის – ქონების შემძენის გამოვლენილ დანაშაულთან კავშირის არარსებობის გამო კანონსაწინააღმდეგოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპის განვრცობის ინტერესი მოცემული ეტაპისთვის შეუსაბამოა და ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირობებს. უკანონოდ აღიარებული სყიდვის შემცირებული ფასის შევსებით აპელირება ასევე ვერ იქნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის LII თავში მოქცეული საპროცესო ურთიერთობის დარეგულირების წინაპირობა, რადგან განმცხადებლის ინტერესის გამართლება ახალი დავის დაწყების შესაძლებლობით იფარგლება.

ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებების თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჩ-ის და დ. მ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ვერ ამართლებს სამართალწარმოებითი მოთხოვნის ინტერესებს ფაქტობრივი და სამართლებრივი დაუსაბუთებლობის გამო, შესაბამისად, არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილების საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ნ. ჩ-მა და დ. მ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მათი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ აუქციონის წესით გასხვისებული უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულების – 75000 ლარის გადახდა მოხდა მართლმსაჯულების დასრულების

შემდეგ – 2011 წლის 17 ივნისს, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 იანვრის №33-1996-09 გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ წარმოშობილი მოვლენები აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობისთვის, როგორც ახლად აღმოჩენილი, ნაკლიანია დროში აცდენის გამო. ამასთან, იმ პირობებშიც კი, როცა ნ. ჩ-მა დაფარა აუდიტის დასკვნის თანახმად სყიდვის ღირებულების უკანონოდ შემცირებული ფასი, უკვე კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ვერ გარდაიქმნებიან კანონშესაბამისებად.

კერძო საჩივრის ავტორების მოსაზრებით, მიუხედავად „დროში აცდენისა“, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის ფაქტი განხილულ უნდა იქნეს როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება და პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, რომ ზარალის ანაზღაურება მოხდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

რაც შეეხება იმას, რომ ზარალის ანაზღაურების ფაქტი გავლენას ვერ იქონიებს კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნეულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე, კერძო საჩივრის ავტორების მითითებით, სწორედ ამ აქტის საფუძველზე მოხდა დასახელებული უძრავი ქონების – მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საკუთრებაში გადაცემა და ეს გარემოება დღესაც სახეზეა თავისი იურიდიული შედეგებით. რკინიგზის ჩიხი ამ უძრავი ქონების მხოლოდ ნაწილია, რომელზედაც საკუთრების უფლების დარეგისტრირება გაინელა დროში. საქართველოს პროკურატურას დღის წესრიგში არ დაუყენებია საკითხი აუქციონზე გაყიდული ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნების შესახებ, მხოლოდ მოითხოვა ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება. 75000 ლარის ბიუჯეტში გადახდით პრაქტიკულად დაიფარა აუქციონზე გაყიდული ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულება და ეს გარემოება შეფასებულ უნდა იქნეს როგორც ამ ქონების ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი ნაწილის – რკინიგზის ჩიხის მათ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ნ. ჩ-ისა და დ. მ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და კერძო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველიანობის შესწავლისა და გასა-

ჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-ისა და დ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტების თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადანყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადანყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადანყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადანყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგინა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანას; ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადანყვეტილებიდან გამომდინარეობს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34²-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოიყენება.

განმცხადებლები – ნ. ჩ-ი და დ. მ-ე საქმის წარმოების განახლებას ითხოვენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აღნიშნულის საფუძველად უთითებენ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2011 წლის 14 სექტემბრის №0000981127 დადგენილებაზე, რომლის თანახმად, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულია – ბიუჯეტში გადახდილია 75000 ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის რობასა და მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ მართალია განმცხადებლების – ნ. ჩ-ისა და დ. მ-ის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მითითებული სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2011 წლის 14 სექტემბრის №0000981127 დადგენილების თანახმად, არ დასტურდება ნ. ჩ-ის დანაშაულებრივი ქმედება და ამასთან, ნ. ჩ-მა 2011 წლის 17 ივნისს სახელმწიფო ბიუჯეტში სრულად გადაიხადა მის მიერ აუქციონის წესით შექმნილი 11 727 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალური საბაზრო ღირებულება – 75 000 ლარი, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3პ/1996-09 გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 29 ნოემბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ნოემბრის განჩინებით დ. მ-ის, ნ. ჩ-ისა და შპს „ნ...“ საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3პ/1996-09 გადაწყვეტილება. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს მთავარი პროკურატურის 2011 წლის 14 სექტემბრის №0000981127 დადგენილება გამოცემულია და ნ. ჩ-ის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მის მიერ აუქციონის წესით შექმნილი 11 727 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალური საბაზრო ღირებულება – 75 000 ლარი გადახდილია მოცემულ დავაზე მართლმსაჯულების დასრულების შემდგომ; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის №3პ/1996-09 გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ წარმოშობილი მოვლენები კი აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილობისათვის, როგორც ახლად აღმოჩენილი (მისი არსიდან გამომდინარე), დროში აცდენის გამო ვერ იქონიებს გავლენას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლად განმცხადებლების მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის არც „ვ“ და არც სხვა ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევას (სასკ-ის 1.2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი). იგი თავისი არსით მიეკუთვნება არა ახლად აღმოჩენილ, არამედ ახლად გამოვლენილ გარემოებას. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად კი საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ახლად აღმოჩენილი გარემოებების არსებობის პირობებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, ხოლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორების ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება ადმინისტრაციულ ორგანოს წარედგინოს განმეორებით იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (102.1 მუხლი) ითვალისწინებს ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობის საფუძვლით ადმინისტრაციული ორგანოსთვის განმეორებით მიმართვის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, ნ. ჩ-ისა და დ. მ-ის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლად მოყვანილი ახ-

ლად აღმოჩენილი გარემოება თავისი არსით სწორედ ახლად გამოვლენილ გარემოებას წარმოადგენს, რა დროსაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის გზით, უზრუნველყოფილია უფლების დაცვა და აღდგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ჩ-ისა და დ. მ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 423-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ჩ-ისა და დ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების
შეტანის ვადა და წინაპირობები**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-843-835(კს-16)

8 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის
წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 29 აგვისტოს ა. ლ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მისთვის რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება (უმუშევრად დარეგისტრირება) და ასევე 6 თვის კომპენსაციის – 120 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-მა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, რაც საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. ა. ლ-მა ასევე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა საქმეში სს „...“ მესამე პირად ჩართვაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება. კასატორმა ასევე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა

მისი განცხადება 2008 წლის 7 აპრილის სხდომის ოქმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 დეკემბრის განჩინებით ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება სს „...“ საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, ამავე პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება ა. ლ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და 2008 წლის 18 აპრილის განჩინება სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

2009 წლის 16 თებერვალს ა. ლ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. 2009 წლის 8 მაისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2009 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 20 მაისს ა. ლ-მა კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილისა და 13 მაისის განჩინებები.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად

ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებული იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმება და მისი განცხადების არსებითად განხილვა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინება.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის შუამდგომლობა მოსამართლე ლეილა მამულაშვილის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2011 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დატოვებული იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო. აღნიშნული განჩინებები კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინებების გაუქმება და მისი განცხადების დასაშვებად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინება.

2012 წლის 23 იანვარს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 10 მაისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება დატოვებული იქნა განუხილველად, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინება.

2013 წლის 9 იანვარს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის ა. ლ-ის განცხადების დასაშვებად ცნობის და განცხადების არსებითი განხილვის დავალება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპე-

ლაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინება.

2013 წლის 22 ივლისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინება.

2014 წლის 18 თებერვალს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 მაისის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014

წლის 28 ნოემბრის განჩინება.

2015 წლის 21 მაისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ნოემბრის განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრა ა. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის განჩინება.

2016 წლის 4 ივლისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ა. ლ-ი საქმის წარმოების განახლების საფუძვლად უთითებდა იმ ფაქტს, რომ დავის განხილვისას სს „...“ არ ყოფილა გამოთხოვილი მისი სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება, რაც მისი აზრით, წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებას.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებაზე, როგორც საქმის წარმოების განახლების საფუძველზე, ა. ლ-ი არაერთგზის უთითებდა მის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა დროს წარდგენილ განცხადებებში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში განცხადების შე-

ტანამდე რამდენიმე წლით ადრე. ამასთან, აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების საკითხი სასამართლოებმა არაერთი განჩინებით უარყოფითად გადაწყვიტეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. ღ-ის მითითებით მისი საბოლოო მიზანი სწორედ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება იყო. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო პალატის 2015 წლის 29 ივლისის განჩინების გაუქმების შემთხვევაშიც. ამასთანავე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა. ღ-ის სარჩელზე არსებითი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (31.12.2008წ.) 5 წელზე მეტი იყო გასული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ღ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა არსებითად არ იმსჯელეს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე და ზედაპირულად განიხილეს დავა, რაც განპირობებულია სასამართლოს მიკერძოებითა და არაობიექტურობით. სასამართლოს განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა განცხადება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნების ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება სასამართლომ უნდა გამოითხოვოს სს „...“, რის თაობაზეც მას არაერთხელ აქვს დაყენებული შუამდგომლობა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 421-ე, 423-ე, 426-ე, 427-ე, 431-ე მუხლების დანაწესები.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ დაცული აქვს როგორც სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების, ასევე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადები.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები სოციალური დაცვის საკითხთან

დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე და ითხოვს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას იმ საფუძველით, რომ სარჩელი თავისი არსით წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული და ყველა წინმსწრები განჩინება, უნდა განახლდეს საქმის წარმოება და მოხდეს სარჩელის სრული დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2016 წლის 4 ივლისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და დამატებით აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვის წესსა და განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობებს აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე თავი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წინამძღვრები. ამავე კოდექსის 423-ე მუხლის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია არა მხარის მიერ მითითებული ნებისმიერი საფუძველით, არამედ მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების

წარდგენა, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, განმცხადებელმა უნდა უზრუნველყოს. მან უნდა დაადასტუროს, რომ მის მიერ მითითებული გარემოებები თუ მტკიცებულებები არსებობდნენ გადანყვეტილების გამოტანამდე და არ წარმოშობილან შემდგომში. ასევე დადასტურებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ ახალი ფაქტების თუ მტკიცებულებების შესახებ მხარისთვის ცნობილი გახდა გადანყვეტილების გამოტანის შემდეგ და მას დავის განხილვის მიმდინარეობისას არ ჰქონდა აღნიშნულ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითების შესაძლებლობა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განსჯად სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლის არსებობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ა. ლ-ის მიერ 2016 წლის 4 ივლისს წარდგენილი განცხადების მიზანია მის სარჩელზე საქმისწარმოების განახლება, რაც განმცხადებლის მოსაზრებით შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის განჩინებისა და მისი წინმსწრები ყველა განჩინებისა და გადანყვეტილების გაუქმების შედეგად. ა. ლ-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი განცხადება ემყარება იმ გარემოებას, რომ საქალაქო სასამართლომ მისი სარჩელის გადანყვეტისას არ მოიპოვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც სხვაგვარი გადანყვეტილების მიღება იყო შესაძლებელი. კერძოდ, დავის განხილვისას სს „...იდან“ არ ყოფილა გამოთხოვილი მისი სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება, რაც კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენს. აღნიშნულ გარემოებაზე, როგორც საქმის წარმოების განახლების საფუძველზე, ა. ლ-ი არაერთგზის უთითებდა მის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა დროს წარდგენილ განცხადებებში. ამდენად, დგინდება, რომ კერძო საჩივრის ავტორს აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში განცხადების შეტანამდე რამდენიმე წლით ადრე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ა. ლ-ის განცხადების განუხილველად დატოვებას.

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება ხარვე-

ზის დადგენის გარეშე დატოვოს საქმე განუხილველად, თუ წარმოდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს განსჯადობის წესებს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, განმცხადებლისათვის განცხადებაზე ხარვეზის დადგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ შეიცავს ამავე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადებისათვის სავალდებულო რომელიმე რეკვიზიტს. ამავე კოდექსის 285-ე მუხლი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს განჩინების შინაარსი. ამდენად, როგორც განცხადებაზე ხარვეზის დადგენა, ისე განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოთხოვნის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული განჩინებით 2016 წლის 4 ივლისის განცხადებაში დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნებოდა თუ თავად განცხადება დააკმაყოფილებდა იმ პირობებს, რომლებიც მისი განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კერძო საჩივრის ავტორის საბოლოო მიზანს განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის განჩინების, ასევე ყველა წინმსწრები გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია განსახილველი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმების შემთხვევაშიც, ვინაიდან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის სარჩელზე არსებითი გადანწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (31.12.2008წ.) 5 წელზე მეტია გასული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული სასამართლოს

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 426-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადა და წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-492-492(კს-18)

5 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 29 აგვისტოს ა. ლ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სოციალური დანშარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მისთვის რეგისტრირებული უმუშევრის სტატუსის მინიჭება (უმუშევრად დარეგისტრირება) და ასევე 6 თვის კომპენსაციის – 120 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-

მა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება, რაც საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა. ა. ლ-მა ასევე გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა საქმეში სს „...“ მესამე პირად ჩართვაზე იმ საფუძვლით, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობდა პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება. კასატორმა ასევე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 აპრილის განჩინების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი განცხადება 2008 წლის 7 აპრილის სხდომის ოქმში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 დეკემბრის განჩინებით ა. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება სს „...“ საქმეში მესამე პირად ჩართვაზე უარის თქმის შესახებ, ამავე პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება ა. ლ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და 2008 წლის 18 აპრილის განჩინება სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

2009 წლის 16 თებერვალს ა. ლ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა. 2009 წლის 8 მაისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2009

წლის 30 აპრილის სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 20 მაისს ა. ლ-მა კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილისა და 13 მაისის განჩინებები.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინებით ა. ლ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 28 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმება და მისი განცხადების არსებითად განხილვა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინება.

ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის შუამდგომლობა მოსამართლე ლეილა მამულაშვილის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2011 წლის 15 ივლისის განჩინებით ა.

დ-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 13 აგვისტოს განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შეუესებლობის გამო. აღნიშნული განჩინებები კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინებების გაუქმება და მისი განცხადების დასაშვებად ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინება.

2012 წლის 23 იანვარს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 13 მარტის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2012 წლის 10 მაისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება დატოვებულ იქნა განუხილველად, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დასაშვებად ცნობა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინება.

2013 წლის 9 იანვარს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გა-

რემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსთვის ა. ლ-ის განცხადების დასაშვებად ცნობის და განცხადების არსებითი განხილვის დავალება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 4 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინება.

2013 წლის 22 ივლისს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრა ა. ლ-მა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინება.

2014 წლის 18 თებერვალს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 27 თებერვლის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ა. ლ-ის მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინება.

2017 წლის 20 მარტს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. ლ-ი საქმის წარმოების განახლების საფუძვლად უთითებდა იმ ფაქტს, რომ დავის განხილვისას სს „თელასიდან“ არ ყოფილა გამოთხოვილი მისი სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება, რაც მისი აზრით, წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებას. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებაზე, როგორც საქმის წარმოების განახლების საფუძველზე, ა. ლ-ი არაერთგზის უთითებდა მის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა დროს წარდგენილ განცხადებებში. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში განცხადების შეტანამდე რამდენიმე წლით ადრე. ამასთან, აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების საკითხი სასამართლოებმა არაერთი განჩინებით უარყოფითად გადაწყვიტეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუმეგბელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა. ლ-ის სარჩელზე არსებითი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (31.12.2008წ.) 5 წელზე მეტი იყო გასული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და საქმის არსებითი განხილ-

ვის შედეგად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 აპრილის განჩინება.

2017 წლის 11 დეკემბერს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 აპრილის განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 11 დეკემბერს ა. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 აპრილის განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 აპრილის განჩინებით ა. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ლ-მა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივ დასაბუთებას და განმარტავს, რომ სსსკ-ის 421.1 მუხლის შესაბამისად, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახ-

ლება დასაშვებია, თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების წანამძღვრები. სსსკ-ის 423.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების საფუძველია ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამდენად, მითითებული ნორმა ადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების, ანუ ფაქტობრივად საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობას, თუ მხარისათვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ცნობილი გახდება საქმის განხილვისას მისთვის ახალი რაიმე გარემოება ან მტკიცებულება, რომელიც საქმის განხილვის სტადიაზე ცნობილი თუ იქნებოდა სასამართლოსათვის, გამოიწვევდა სხვაგვარი, მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების დადგენას. ამასთან, სსსკ-ის 426-ე მუხლის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განსჯად სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც განმცხადებლისთვის ცნობილი გახდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლის არსებობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში ა. ლ-ი სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში საქმის წარმოების განახლების საფუძველად უთითებდა იმ ფაქტს, რომ დავის განხილვისას სს „თელასიდან“ არ ყოფილა გამოთხოვილი მისი სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გამაქარწყლებელი წერილობითი მტკიცებულება, რაც კერძო საჩივრის ავტორის აზრით, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ აღნიშნულ გარემოებაზე, როგორც საქმის წარმოების განახლების საფუძველზე, ა. ლ-ი არაერთგზის უთითებდა მის მიერ სამივე ინსტანციის სასამართლოში სხვადასხვა დროს წარდგენილ განცხადებებში. ამდენად, დგინდება, რომ კერძო საჩივრის ავტორს მითითებული გარემოების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში განცხადების შეტანამდე რამდენიმე წლით ადრე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ა. ლ-ის განცხადების განუხილველად დატოვებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ

სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება ხარვეზის დადგენის გარეშე დატოვოს საქმე განუხილველად, თუ წარმოდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს განსჯადობის წესებს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის LLII თავის შესაბამისად, განცხადების დასაშვებობის სტადიაზე სასამართლო ამონებს ორ კრიტერიუმს: 1. განცხადების წარდგენის ვადის დაცულობას და 2. განცხადების სსსკ-ის 427.1. მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. 427.1 მუხლი განსაზღვრავს განცხადების შინაარსს; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განმცხადებლისათვის განცხადებაზე ხარვეზის დადგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ შეიცავს ამავე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილ საქმისწარმოების განახლების შესახებ განცხადებისათვის სავალდებულო რომელიმე რეკვიზიტს. ამავე კოდექსის 285-ე მუხლი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს განჩინების შინაარსი. ამდენად, როგორც განცხადებაზე ხარვეზის დადგენა, ისე განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოთხოვნის არსებითად განხილვის შედეგად მიღებული განჩინებით 2016 წლის 4 ივლისის განცხადებაში დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნებოდა თუ თავად განცხადება დააკმაყოფილებდა იმ პირობებს, რომლებიც მისი განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, კერძო საჩივრის ავტორის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მის სარჩელზე საქმის წარმოების განახლება და სარჩელის დაკმაყოფილება, რაც განმცხადებლის მოსაზრებით შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის განჩინებისა და მისი წინმსწრები ყველა განჩინებისა და გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად იმ ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველით, რომელზედაც იგი მიუთითებდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია განსახილველი კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის განჩინების გაუქმების შემთხვევაშიც, ვინაიდან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის სარჩელზე არსებითი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან (31.12.2008წ.) 5 წელზე მეტია გასული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ლ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკ-

მაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 აპრილის განჩინება მიღებულია საპროცესო ნორმათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე, 426-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ლ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 აპრილის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას
ადმინისტრაციული აქტის შეჩერების თაობაზე
განჩინების გაუქმების საფუძველი**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-1174-1168(კს-17)

30 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ. ი-მა 2017 წლის 30 ივნისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპა-

სუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 იანვრის №101 განკარგულება განაშენიანების კოეფიციენტის და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების მიზნით სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის შესახებ; ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 თებერვლის №1088165 გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ; სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 31 მარტის №1182140 ბრძანება პროექტის შეთანხმების შესახებ, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის №226248 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 25 მაისის №1-1182 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე სარჩელით მოსარჩელემ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით საქმეში მესამე პირად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით ჩაერთო შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით ა. ბ. ი-ის შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ბ. ი-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ა. ბ. ი-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი განჩინება; ა. ბ. ი-ის შუამდგომლობა – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე, დაკმაყოფილდა; შეჩერდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 იანვრის №101 განკარგულების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 თებერვლის №1088165 გადან-

ყვეტილების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 31 მარტის №1182140 ბრძანების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის №226248 ბრძანების მოქმედება საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

შპს „...-მა“ 2017 წლის 4 დეკემბერს კერძო საჩივრით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ სარჩელის აღძვრის მომენტშიც და დღესაც მსმენებლო სამუშაოები, რომელთაც სჭირდებათ მსმენებლობის ნებართვა, დასრულებულია, ასევე სრულადაა ათვისებული კ2 კოეფიციენტი, რადგან კორპუსის სართულიანობის მსმენებლობა და გადახურვის მოწყობა დასრულდა დაახლოებით 1 წლის წინ. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებით არ ხდება მხარეების ინტერესების დაბალანსება და მომავალში, მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილების დადგომის შემთხვევაში, არაა უზრუნველყოფილი გადაწყვეტილების აღსრულება, რადგან არ შეიძლება მსმენებლობის დასრულება მსმენებლობადასრულებულ ობიექტზე ემსახურებოდეს რაიმე მიზანს, გარდა იმისა, რომ ვერ შეძლოს მესამე პირმა არქიტექტურული პროექტის კორექტირება და ვერ შეასრულოს მყიდველთან დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება, ასევე მსმენებლობის ნებართვით გათვალისწინებული ვალდებულება – მსმენებლობადასრულებული ობიექტი ჩააბაროს ექსპლუატაციაში, აღნიშნული შეზღუდვით ზიანდება მხოლოდ მესამე პირი, რის სანაცვლოდ არაფრის უზრუნველყოფა არ ხდება.

საჩივრის ავტორი მიუთითებდა საჩივარზე თანდართულ ამონაწერებზე საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება, რომ 35 ერთეული უძრავი ქონება გადაფორმებულია შესაბამისი მესაკუთრეების სახელზე, საიდანაც 12 მათგანი დატვირთულია საბანკო იპოთეკით, 6 ერთეულ უძრავ ქონებაზე დარეგისტრირებულია უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება და კომპანიას ვალდებულება აქვს აღებული ნასყიდობის სრულად დაფარვისთანავე გადააფორმოს ისინი საკუთრებაში, რიგი მესაკუთრეების მიერ ჩატარებულია სარემონტო სამუშაოები, შენობა-ნაგებობაში შეყვანილია ელექტროენერგია და წყალი.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავდა, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად

ხელყოფს არა მხოლოდ მესამე პირის, არამედ, სრულიად დამოუკიდებელი პირების ინტერესებს, საუბარია მესაკუთრეებზე. გაუგებარია, მოსარჩელის მოთხოვნის არსი, მაშინ როცა ითხოვს დაახლოებით 102 000 აშშ დოლარის ანაზღაურებას ზუსტად იმავე საფუძვლით რითაც სამოქალაქო დავაზე მის სასარგებლოდ უკვე დაყადლებულია 103 კვ.მ. უძრავი ქონება და გაუგებარია რა მიზანს და რომელი გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობას ემსახურება ეს მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინებით შპს „...“ კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, ცნობილ იქნა დაუშვებლად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, თემცა საკითხი იმის თაობაზე, თუ რა წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში, რომელიც ადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი

სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. (4.05.2010 №3035); თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

საჩივრის ავტორის პოზიცია სავარაუდოდ ეფუძნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტს, რომელიც საქმის წარმოების განახლებას უკავშირებს ისეთ გარემოებას, რომელიც მხარისათვის ცნობილი გახდა და ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ტიპის გარემოებებზე ვერ შეფასდება ის საკითხი, რომ სადავო აქტი აღსრულებულია, ანუ მშენებლობა დასრულებულია.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენება ხდება სწორედ იმ პირობებში, როდესაც საკითხი ეხება აღსრულებული აქტის შეჩერების საკითხს, რასაც წინამდებარე შემთხვევაში აქვს ადგილი. რაც შეეხება საჩივარში წარმოდგენილ მოსაზრებებს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით გაუმართლებლად ილახება მესამე პირთა უფლებები, აღნიშნული წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების რევიზირებას, რაც დასაშვებია მხოლოდ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობის არსებობის პირობებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ კერძო საჩივარი არ შეიცავდა მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით განსაზღვრულ არც ერთ საფუძველზე, რის გამოც შპს „...“ კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, ცნობილ იქნა დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, რომ იმის მიუხედავად, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მესამე პირად ჩააბა საქმეში შპს „...“ აღნიშნულის თაობაზე მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2017 წლის 1 დეკემბერს, როდესაც ჩაპბარდათ საქმის მასალები და ცნობილი გახდა, რომ ა. ბ. ი-ი ითხოვდა სადავო აქტების ბათილობას. 2017 წლის 1 დეკემბერსვე გახდა ცნობილი, რომ სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2017 წლის 3 ივლისის განჩინება, რომლითაც უარი განუცხადეს მოსარჩელეს სადავო აქტების შეჩერებაზე. შესაბამისად, 2017 წლის 24 ნოემბერს სააპელაციო სასამართლოს მიერ შეჩერდა გასაჩივრებული აქტების მოქმედება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 3 ივლისიდან 2017 წლის 24 ნოემბრამდე პერიოდში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც იხილავდა ა. ბ. ი-ის კერძო საჩივარს არ გადაუგზავნია საქმის მასალები მესამე პირისთვის, რითაც შპს „...“ მოესპო საკუთარი პოზიციის ნარდგენის შესაძლებლობა. აღნიშნულმა კი განაპირობა ის, რომ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მოსარჩელის მიერ მითითებულ ტყუილს, იმასთან დაკავშირებით, რომ „მშენებლობა უკვე დაიწყო და თუ არ იქნება გამოყენებული სადავო აქტების მოქმედების შეჩერება მშენებლობა დასრულდება“. ეს ყველაფერი იმ პირობებში რომ რეალურად სადავო მშენებლობა დასრულდა ჯერ კიდევ ერთი კალენდარული წლის წინ. გარდა ამისა, არაერთი გარემოება ადასტურებდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების სრულ არალერევანტურობას და ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ შპს „...“ დამაზიანებელ ფაქტობრივ ვითარებას, რომელშიც ერთადერთ ხეირს იღებს მოსარჩელე, რადგან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მესამე პირს შეეზღუდა დასრულებული მშენებლობის ექსპლუატაციაში ჩაბარების შესაძლებლობა მინიმუმ 2 წლით.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მათ მიერ წარდგენილი კერძო საჩივარი შეიცავდა სრულ ინფორმაციას და მტკიცებულებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველზე, რამდენადაც საქმის განხილვის ეტაპზე მესამე პირს წაერთვა შესაძლებლობა წარედგინა მისი პოზიცია ორი მიზეზით: 1. პირველი ინსტანციის სასამარ-

თლომ ვერ შეძლო მისის ინფორმირება 2017 წლის 1 დეკემბრამდე; 2. სააპელაციო სასამართლომ კერძო საჩივრის განხილვისას არ გადაუგზავნა/არ შეატყობინა მხარის მიერ წარდგენილი საჩივრის შესახებ და არ მიეცა შესაძლებლობა ეპასუხა მისი ნაწილობრივ ცრუ ინფორმაციაზე დაფუძნებულ პოზიციაზე. ასევე მათ მიერ წარდგენილ იქნა იმგვარი მტკიცებულებები, რაც ერთმნიშვნელოვნად იძლეოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შენობას პირველიდან უკანასკნელი სართულის ჩათვლით ჰყავს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრეები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესს ადგება ზიანი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული უზრუნველყოფის ღონისძიება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ვერ გამოიწვევს მოსარჩელის „უფლებებში“ აღდგენას იმ კონტექსტში, რომ მშენებლობა ფაქტობრივად დასრულებულია, ხოლო თუ კი მხარე დაამტკიცებს, რომ მას მიადგა რაიმე სახის ფინანსური ზარალი, აღნიშნული მოთხოვნა მას ისედაც უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი ქონების დაყადაღებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 დეკემბრის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა შპს „...“ კერძო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ ხსენებული კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა პირველყოფლისა მიუთითებს, რომ შპს „...“ მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებაზე წარდგენილი კერძო საჩივარი თავისი შინაარსით წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე წარდგენილ განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატას აღნიშნულ კერძო საჩივარზე უნდა ემსჯელა, როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად წარდგენილ განცხადებაზე და ამავე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე მის მიერ მიღებულ 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინებაში უნდა განემარტა განჩინების გასა-

ჩივრების შესაძლებლობის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინებაზე წარმოდგენილი კერძო საჩივარი დასაშვებად მიიჩნია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ა. ბ. ი-ის კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებისა და შპს „...“ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების დაუშვებლად ცნობის შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინებების კანონიერება წარმოადგენს.

შპს „...“ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, სახეზეა თუ არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები; რამდენად არსებობს ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინების გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში უფლების დროებითი დაცვის სამართლებრივი საშუალებები ამავე კოდექსით განსაზღვრული სარჩელის სახეების მიხედვით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების დროებითი დაცვის ღონისძიება გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის უზრუნველ-

ყოფის ღონისძიებას წარმოადგენს, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული დროებითი განჩინება, როგორც უფლების დროებითი დაცვის საშუალება, გამოიყენება ყველა სხვა სახის სარჩელთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფას ემსახურება და მხარეთა შორის დავის დასრულებამდე ახდენს მოსარჩელის უფლებებისა და ინტერესების დროებით დაცვას და უზრუნველყოფს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებების თავიდან აცილებას.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოცემულ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 იანვრის №101 განკარგულების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 თებერვლის №1088165 გადაწყვეტილების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 31 მარტის №1182140 ბრძანების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის №226248 ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ იშუამდგომლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით ა. ბ. ი-ის იშუამდგომლობა – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 3 ივლისის განჩინება და შეჩერდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 იანვრის №101 განკარგულების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 თებერვლის №1088165 გადაწყვეტილების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 31 მარტის №1182140 ბრძანების, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის №226248 ბრძანების მოქმედება საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე.

შპს „...“ 2017 წლის 4 დეკემბერს თავისი შინაარსით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებით მიმართა თბილისის სა-

აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა. შპს „...“ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტები აღსრულებული იყო, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ხელი ეშლებოდა დასრულებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებაში, რითაც ირღვეოდა 41 ბინის მესაკუთრის საკუთრების უფლება. ამასთან, მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო ა. ბ. ი-ის მიერ წარდგენილი კერძო საჩივრის თაობაზე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებების მიღებამდე წარადგენდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამომრიცხავ მტკიცებულებებს სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლში რეგლამენტირებულია როგორც ის პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სასამართლო უფლებამოსილია მოახდინოს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება, ასევე მოცემულია ყველა ის სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც უკავშირდება სასამართლოს მიერ აქტის მოქმედების შეჩერებას, მათ შორის, სასამართლო განჩინებაზე კერძო საჩივრის დაშვება, აქტების მოქმედების შეჩერების გაუქმება და ა.შ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის დანაწესზე, რომლის თანახმად, ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალოს ან გააუქმოს განჩინება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ახლად

აღმოჩენილი გარემოება არის იურიდიული ფაქტი, რომელიც არსებობდა სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა საქმის გადაწყვეტისათვის, თუმცა მის შესახებ არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი საქმის განხილვისას და მისი აღმოჩენა მოხდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ამასთან, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნაში უტყუარად უნდა იყოს დადასტურებული, რომ ახლად აღმოჩენილი მტკიცებულება ან გარემოება არსებობდა საქმის განხილვის დროისათვის, ხოლო მხარემ მისი არსებობის შესახებ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის განმარტებასთან მიმართებით და მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმება დასაშვებია არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, არამედ სხვა გარემოებების არსებობისას (მაგ.: ზიანის გაზრდის, გარემოებათა შეცვლის და სხვ). ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილი თავისი არსით უფრო ფართო შემთხვევებს მოიცავს და უმთავრესად გულისხმობს ისეთი გარემოებების არსებობას, რომელიც სწორედ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების შედეგად წარმოიშვა და არა მხოლოდ იმ შემთხვევებს, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არსებობდა საქმის განხილვის დროისათვის, რომლის შესახებაც მხარემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მოიაზრებს ბევრად ფართო შემთხვევებს, რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე მითითებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ ჩერდება, ანუ სარჩელის სასამართლოში შეტანა

არ ატარებს სუსპენზიურ ეფექტს, კერძოდ, თუ: ა) ეს დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახდელების გადახდასთან; ბ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას; გ) იგი გამოცემულია შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცხადებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს; დ) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულია წერილობითი დასაბუთებული გადაწყვეტილება დაუყოვნებელი აღსრულების შესახებ, თუ არსებობს გადაუდებელი აღსრულების აუცილებლობა; ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს; ვ) ეს გათვალისწინებულია კანონით. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს, ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვას. სასამართლო უფლებამოსილია განსაზღვროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედების შეჩერების ვადა.

ამდენად, დასახელებული ნორმის ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად არ შეჩერდება თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აღსრულებულია ან იგი წარმოადგენს აღმჭურველ აქტს და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს სხვა პირის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამავე ნორმის მე-3 ნაწილი, მართალია, უშვებს აღსრულებული აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „...-ის“ მიერ სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებაზე წარდგენილ კერძო საჩივარში (რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განჩინების გაუქმების შესახებ განცხადებას) მითითებული გარემოებები ქმნიდნენ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხ-

ლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ განჩინების გაუქმების საფუძველს, რამდენადაც საქმეში დაცული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ შპს „...-ის“ მიერ 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ თავისი შინაარსით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე დართული მტკიცებულებების თანახმად, გასაჩივრებული აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები: განაშენიანების კოეფიციენტის და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების მიზნით სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 17 იანვრის №101 განკარგულება, მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 5 თებერვლის №1088165 გადაწყვეტილება, პროექტის შეთანხმების შესახებ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 31 მარტის №1182140 ბრძანება, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 16 აპრილის №226248 ბრძანება აღსრულებული იყო (შენობა აშენებული იყო) სააპელაციო სასამართლოს მიერ ა. ბ. ი-ის კერძო საჩივრის განხილვისა და უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სადავო აქტების შეჩერების შესახებ 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინების მიღებისას. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად დაუშვებელია აღსრულებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერება, თუ წინანდელი მდგომარეობის აღდგენა ფაქტობრივი გარემოებების გამო უზრუნველყოფის ეტაპზე შეუძლებელია. ამასთან, საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ შპს „...-ის“ ა. ბ. ი-ის კერძო საჩივარი კანონით დადგენილი წესით არ გაგზავნია, რითაც მას შესაძლებლობა მოესპო, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ა. ბ. ი-ის კერძო საჩივრის განხილვის დროს მიეთითებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...-ის“ კერძო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინებაზე შპს „...-ის“ მიერ წარდგენილი თავისი შინაარსით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადე-

ბის დაუშვებლად ცნობის საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „...-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 ნოემბრის განჩინება;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge